პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 ოქტომბერი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 239 (15756)

შემხვედრი გეგმები მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის მკაფიო გამოვლინებაა.

ვიაროთ უფრო წინ, უფრო ღრმად წარმოების რეზერვების ძიების გზაზე — ასეთია ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრების მონაწილეთა დევიზი.

ხუთწლედი-ვადაზე!

1974-შემხვედრი

შემხვედრი გეგმები დამკვრელური პროგრამაა!

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული სხდომა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების ამოცანები სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისათვის, 1974 წლის შემხვედრი გეგმებისა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შედგენისათვის.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ზ. ა. პატარიძის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ბ. გიგიბერიას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის ი. ი. ქედიშვილის ინფორმაცია ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობისა და სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის, მომავალი წლის შემხვედრი გეგმებისა და გადიდებული ვალდებულებების შემუშავების ამოცანათა შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ზ. გილაშვილი, სხვა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის უწყებათა და საწარმოთა წარმომადგენლები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

წლის დამდეგიდან საქართველოს სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის, შრომითმა კოლექტივებმა, ითქვა სხდომაზე, გარკვეული დადებითი შედეგები მოიპოვეს სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. გაიზარდა სამრეწველო წარმოების მოცულობა, შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც თავს ვერ ართმევდნენ პროდუქციის რეალიზაციის გეგმას. უფრო მყარად მუშაობს ყველა სამრეწველო სამინისტრო. მაჩვენებელთა გაუმჯობესებაზე გავლენა მოახდინა განსაკუთრებულმა ყურადღებამ განვითარების ტემპის დაჩქარებისადმი, მრეწველობის წამყვანი დარგების საწარმოთა საქმიანობის სრულყოფისადმი, რომლებსაც მნიშვნელოვანი წონა აქვთ რესპუბლიკის წარმოების საერთო მოცულობაში.

სახალხო მეურნეობის მუშაობის მაჩვენებელთა გაუმჯობესებაში დიდი დადებითი როლი შეასრულა სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ფართო გაქანებამ. შეჯიბრების წამომწყებებად გამოდიან, როგორც ყოველთვის კომუნისტები, კომკავშირლები, წარმოების ნოვატორები. პარტიული კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო საგნობრივად და კონკრეტულად მუშაობენ ამ საკითხებზე. სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-9 და მე-10 პლენუმებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომებმა. პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ადევნებენ თვალს გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას, ეხმარებიან შრომით კოლექტივებს საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში.

დიდ როლს ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია და ადგილებზე შექმნილი კომისიები, რომლებიც ბევრ რამეს აკეთებენ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის, მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის.

მაგრამ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში ცოტა როდია ნაკლი. დღემდე ვერ დაუძლევიათ ჩამორჩენა მთელ რიგ საწარმოებს. ბევრი მათგანი მუშაობს არარიტმულად, ურიგდება იერიშობანას, მოცდენას, ზეგანაკვეთურ მუშაობას. შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდის მიუხედავად, ათობით საწარმომ შეამცირა იგი. ეს იმის შედეგია, რომ სუსტად იბრძვიან საწარმოო სიმძლავრეთა სრული გამოყენებისათვის, ნედლეულითა და მასალებით თვითეული წარმოების შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

წარმოების ეფექტიანობის გადაჭრით ამაღლებისათვის, ითქვა სხდომაზე, საჭიროა გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ დამატებითი რეზერვები, რომლებიც ყოველ საწარმოშია. ამ რეზერვებს შეიცავენ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების დაჩქარება, ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება და ბევრი სხვა. ამ რეზერვებს ითვალისწინებენ და იყენებენ მხოლოდ ნაწილობრივ. მაგალითად, ნაკისრი ვალდებულებანი — 1973 წლის გეგმის გადამეტებით გამოეშვათ 63,7 მილიონი მანეთის პროდუქცია — ფაქტიურად უკვე გადაჭარბებით შესრულდა ნახევარი წლის მანძილზე. წლიური ვალდებულებანი გადაჭარბებით შეასრულეს მთელმა რიგმა დიდმა სამინისტროებმა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ. ცხადია, რომ დამატებითი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობანი გაცილებით მეტი იყო.

როგორც ჩანს, საქმე ეხება იმას, რომ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი რეზერვების გამოვლინების საქმეში.

არსებითი ნაკლოვანებანია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაშიც.

ყოველივე ეს სერიოზულად უშლის ხელს ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილი წარმოების დონის მიღწევას.

შეგნებული აქვთ რა იმ ამოცანების მთელი პასუხისმგებლობა, რომლებიც უკვე უახლოეს მომავალში უნდა გადაწყვიტონ, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას 1974 წლის შემხვედრი დაძაბული გეგმების მიღების შესახებ. ეს ინიციატივა დღითი დღე სულ უფრო ფართოდ ვრცელდება, რაც, უეჭველია, მოწმობს მშრომელთა მოვალეობის მაღალ გრძნობას.

უშუალოდ შრომით კოლექტივებში შემხვედრი გეგმების შობილ იდეას მხარი დაუჭირეს პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ გეგმების შემუშავებასა და მიღებაში. დიდი მოსამზადებელი მუშაობის პროცესში, რომელიც წინ უძღოდა გეგმების მიღებას, მუშებისაგან, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისაგან შემოვიდა ბევრი წინადადება წარმოების ხელსახელი ტექნიკური აღჭურვის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, პროფესიათა შეთავსების შესახებ. წინადადებანი დაინტერესებით, ყოველმხრივ განიხილეს ღია პარტიულ და მუშათა კრებებზე, საწარმოო თათბირებზე. სწორედ ასე ყალიბდებოდა ჩვენს მოწინავე საწარმოებში შემხვედრი გეგმები, რომლებიც წარმოადგენენ 1974 წლის სახელმწიფო გეგმას პროდუქციის ზეგეგმითი გამოშვების სოციალისტურ ვალდებულებებთან შეხამებით.

სხდომაზე მოიყვანეს ამ მნიშვნელოვანი თაოსნობისადმი მშრომელთა შეგნებული, ღრმად პატრიოტული დამოკიდებულების მაგალითები. მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა 700 ათასი მანეთის პროდუქცია მიუმატოს მომავალი წლის გეგმას. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშაკები აპირებენ 200 ათასი მანეთით გაადიდონ წლიური საგეგმო დავალებანი, „თბილთამბაქოს" გაერთიანების მუშაკებმა — 800 ათასი მანეთით, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მუშაკებმა — 5 მილიონი მანეთით.

„სოხუმბელსაწყოს" ქარხანაში გადაწყვიტეს 28 პროცენტით და მეტად გაადიდონ წარმოების მოცულობა 1974 წლისათვის დადგენილ გეგმასთან შედარებით. თუ მომავალ წელს ამ მოწინავე საწარმოში უნდა გამოეშვათ 16,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, შემხვედრ გეგმაში ეს ციფრი გაიზარდა 17,4 მილიონამდე.

თბილისის საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება „რთონის" მეთაური საწარმოს — ქარხანა „მაგნიტოფონის" კოლექტივმა გადაწყვიტა 1974 წელს რამდენიმე მილიონი მანეთით გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, ხუთწლიანი დავალებით გათვალისწინებულ დონესთან შედარებით.

თავიანთი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკისა და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებმაც.

სხდომაზე განსაკუთრებით აღინიშნა ქუთაისელთა ინიციატივა, რომლებმაც გადადგეს ნაბიჯი წინ მოსკოველთა თაოსნობის განვითარების გზაზე, გააერთიანეს ყველა შრომითი კოლექტივის ღონისძიებანი. მთლიანად ქუთაისის მრეწველობა ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში დადგენილ გეგმას ზრდის 45 მილიონი მანეთით.

ცნობები შემხვედრი გეგმების მიღების შესახებ კვლავ მოდის. ამასთან იმ კოლექტივების რიცხვი, რომლებიც მოსკოველთა თაოსნობას გამოეხმაურნენ, შეიძლება მეტიც ყოფილიყო. ზოგან რაღაც განსაკუთრებულ მითითებებს ელიან, არ იჩენენ აქტივობას, ვერ ბედავენ გადადგან დამოუკიდებლად ესოდენ საჭირო ნაბიჯი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ შემხვედრი გეგმები უნდა იკისრონ ნაჩქარევად, მოუმზადებლად, მომზადებაზე კი, უნდა ითქვას დრო საკმარისი იყო.

სხდომის მონაწილეებმა ყურადღება დაუთმეს შემხვედრი გეგმების, როგორც მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის მკაფიო გამოვლენის, მნიშვნელობის საკითხთა განხილვას. ვიაროთ უფრო წინ, უფრო ღრმად წარმოების რეზერვების ძიების გზაზე — ასეთია ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრების მონაწილეთა დევიზი. იგი გახდა ძირითადი მიმართულება მომავალი წლის — მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი წლის წინა წლის შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შემუშავების დროს.

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებმა, აღინიშნა სხდომაზე, ხელი უნდა მოჰკიდონ 1974 წლის შემხვედრი გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების შემუშავების, მიღებისა და განხორციელების საკითხებს ყველგან, კონკრეტულად, მოფიქრებულად, საქმის ღრმა ცოდნით.

აღინიშნა, რომ ყველა შემთხვევაში, სადაც ეს შესაძლებელია, შემხვედრ გეგმებში გათვალისწინებული წარმოების მოცულობის მატება მიღებული უნდა იყოს საწარმოს შინაგანი რეზერვების ხარჯზე.

სახალხო-სამეურნეო ამოცანებიდან თვითეული ამოცანის წარმატებით შესრულების ძირითადი პირობა, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა პარტიულ პლენუმებზე, უწინარეს ყოვლისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-9 და მე-10 პლენუმებზე, არის სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ტაშკენტში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა უზბეკეთის სს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ შრომისადმი, შრომის დისციპლინისადმი დამოკიდებულების საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის წარმატებით მუშაობისათვის. მწყობრი, შეთანხმებული მუშაობის ორგანიზაციაში, შრომის მკაცრი დისციპლინის უზრუნველყოფაში ხომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ გაკეთებულა ყოველივე ის, რაც შესაძლებელი და საჭიროა. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში უნდა დაიკავონ მკაფიო, მტკიცე და პრინციპული პოზიცია, მთელი სიცხადით უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ ეს არის წარმოების შემდგომი განვითარების მთავარი რეზერვი.

სხდომაზე ითქვა, თუ რა როლს ასრულებენ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებანი, მეცნიერები სამრეწველო საწარმოთა შემხვედრი გეგმების შემუშავებაში. ასეთი დახმარება წარმოებასთან მეცნიერების შემდგომი დაახლოების ერთ-ერთი ქმედითი, ეფექტიანი გზაა.

პარტიულ ორგანიზაციებში დაწყებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე შემხვედრი გეგმების შემუშავებასა და მიღებასთან დაკავშირებული საკითხები სერიოზულად უნდა აისახოს, იყოს კომუნისტთა ყურადღების ცენტრში, გახდეს განხილვის ერთ-ერთი მთავარი, საკვანძო თემა. ეს თანაბრად ეხება როგორც მრეწველობის საწარმოებს, ისე სოფლის მეურნეობასა და მშენებლობებს.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მოწინავე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა დარაზმეს შინაგანი რეზერვები, გაშალეს დროული მზადება ხუთწლედის მეოთხე წელს დამკვრელური შრომისათვის და სხვა შრომით კოლექტივებთან ერთად მხარი დაუჭირეს შემხვედრი დაძაბული გეგმების მიღების ინიციატივას.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის კოლექტივმა სამონტაჟო ორგანიზაციებსა და შემკვეთებთან ერთად ვალდებულება იკისრა 1974 წელს ვადაზე ერთი თვით ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ მეორე რიგი ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატისა, რომლის სიმძლავრეა 23 ათას 600 ტონა ბოსტნეულის შენახვა, ვადაზე 25 დღით ადრე — ხორცის გადასამუშავებელი ქარხანა, რომლის სიმძლავრეა ცვლაში 3 ტონა ძეხვეული და 2 ტონა ნახევარფაბრიკატები.

მშენებლობის სამინისტროს № 18 ტრესტმა ელექტრონულ-გამომთვლელი აპარატების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებასა და „საქმთავარმონტაჟსპეცმშენთან" ერთად მიიღო შემხვედრი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ საექსპლოატაციოდ თბილისში მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხნის ახალი კორპუსი 1974 წლის 15 დეკემბრისათვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ვადის — 1975 წლის დამლევის ნაცვლად.

მაღალი ვალდებულებანი იკისრეს რესპუბლიკის სხვა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების კოლექტივებმაც.

მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ ინიციატივას მხურვალედ ეხმაურებიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაშიც. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებში, რგოლებში გულმოდგინედ სწავლობენ პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების შესაძლებლობებს, ავლენენ რეზერვებს, სახავენ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზებს, ერთი სიტყვით ყველაფერს აკეთებენ, რათა ხუთწლედის მეხუთე წელს მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს, მეცხოველეობის ახალ აღმავლობას. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონების კრებებზე, შეკრებებზე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, იხილავენ ამა თუ იმ დარგის წარმოების განვითარების პერსპექტივებს. კოლექტივები ღრმა ეკონომიური ანალიზის საფუძველზე კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს 1974 წლისათვის.

ვალდებულებებს განამტკიცებენ კონკრეტული საქმეებით. სასიკეთოდ ეურება მომავალ მოსავალს. მიმდინარეობს საშემოდგომო თესვა, მზადდება ნიადაგი საგაზაფხულო კულტურებისათვის. ფერმებში აგროვებენ საკვებს. ათბუნებენ პირუტყვის სადგომებს, რათა სანიმუშოდ დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება. პლანტაციებში, ბაღ-ვენახებში, ბოსტნებში იღებენ ხილის, ყურძნის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის მოსავალს.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ცხრა თვის შედეგები ნათლად მოწმობენ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები თავდადებით მუშაობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, შეაქვთ თავიანთი წვლილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში, უხვი მოსავლის მოწევაში, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში.

კლიმატური პირობებით რთულმა წლევანდელმა წელმა საუკეთესოდ ცხადყო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გაზრდილი ბრძოლისუნარიანობა, სოფლის კომუნისტთა, სოფლის მშრომელთა მაღალი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მოსავლისათვის. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა სულ უფრო წარმატებით წყვეტს სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ოპერატიულ ამოცანებს, ფართოდ იყენებს მეცნიერთა რეკომენდაციებს, შრომის პროგრესულ მეთოდებს, მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას.

წელიწადი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ ჩვენმა კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სპეციალისტებმა კარგად იშრომეს და წარმატებით ასრულებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ მაღალ ვალდებულებებს.

გეგმისა და ვალდებულებების გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა ათასობით ტონა მარცვლეული. ახლა მიმდინარეობს სიმინდის ტაროს ტეხვა და, წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე წელს სულ დამზადებული იქნება 165 ათასი ტონა მარცვალი. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მეჩაიეებმა. მიღებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის უმაგალითოდ უხვი მოსავალი. მოიკრიფა და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 285 ათასი ტონა ნედლეული, ესე იგი მიღწეულია ხუთწლიანი გეგმით 1975 წლისათვის დასახული მიჯნა. ეს 15 ათასი ტონით მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო სახალხო-სამეურნეო გეგმა-დავალებით და 5 ათასი ტონით მეტია ვალდებულებაზე. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება. გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა გეგმასა და ვალდებულებაზე მეტი მესუმზირა. რესპუბლიკის მებაღეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს ზეგეგმითი ათასობით ტონა კურკოვანი ხილი. ახლა მიმდინარეობს თესლოვანი ხილის დამზადება და გაგზავნა სრულიად საკავშირო ფონდში. უკვე დამზადებულია 108 ათასი ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი. გაწეულია დიდი მუშაობა ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. დაიწყო კარტოფილის შენახვა ზამთრისათვის. უკვე დამზადებულია 2 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება, პირველი შედეგები გვინერგავენ რწმენას, რომ ნაკისრი ვალდებულება შესრულდება. ყველგან საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, რაიონებში ახორციელებენ ღონისძიებებს, რომ შეასრულონ გეგმა, მიჰყიდონ სახელმწიფოს 800 ათასი ტონა ყურძენი. შესრულებულია ხორცის, რძის, მატყლის დამზადების 9 თვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა მეტი ხორცი, რძე, კვერცხი და მატყლი, ვიდრე გასული წლის სამ კვარტალში. შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვან დონეზე დამთავრდა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამზადებულია შარშანდელზე მეტი თივა, სენაჟი და სხვა საკვები.

მაგრამ რაც უნდა წარმატებული იყოს დღევანდელი საქმეები, სოფლის მეურნეობის მშრომელები არ სჯერდებიან მიღწეულს და ზრუნავენ მომავლისათვის. აი რატომ არის ესოდენ მაღალი აქტივობა, რომელთაც იჩენენ და კისრულობენ ისინი გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს ხუთწლედის მეოთხე წლისათვის.

* * *

განხილულ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება.

(საქინფორმი).

შეჯიბრების მოწინავენი

სურათზე: ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეები ნათელა მესხიძე და ფატი ემირიძე, მათ თოთ-თოთ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

ვ. დუგინინას ფოტო.

აჭარის მეჩაიეებმა სიტყვა შეასრულეს

მოკრეფილია 44019 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი

აჭარის სახელოვანმა მეჩაიეებმა მორიგი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს, მათ 10 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულება, — მრეწველობას ჩააბარეს 44.019 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 44.000 ტონისა.

— აჭარის მეჩაიეთა ეს წარმატება, — თქვა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა, — განაპირობა პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ პერიოდში გატარებულმა ღონისძიებებმა, რომლებმაც განამტკიცა პარტიული, სახელმწიფო, შრომითი დისციპლინა, გააუმჯობესა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და აამაღლა უხვი მოსავლისათვის ბრძოლის მასობრიობა.

ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციები ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებშია გაშენებული. ბოლო დროს ჩაის კულტურამ ფეხი მოიკიდა მაღალმთიან ქედის რაიონში, სადაც თანდათან მატულობს ახალი ფართობები.

წელს აჭარაში საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 5.992 კილოგრამს გადააჭარბა, ეს მსოფლიოს სარეკორდო ციფრია. უფრო დიდი მაჩვენებლები აქვს ქობულეთის რაიონს.

ქობულეთელ მეჩაიეებს გეგმა-ვალდებულებით უნდა მოეკრიფათ 30.100 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრიფეს 30.227 ტონაზე მეტი. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 6.322 კილოგრამი შეადგინა. მაღალი მაჩვენებლები აქვთ ქაქუთის, ჩაისუბნის, ხუცუბნის, ქედდა აჭყვის, ციხისძირის კოლმეურნეობებს, ჩაქვის, ცეცხლაურის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებს. ქედდააჭყველებს ჰექტარზე საშუალოდ 8 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოჰყავთ, ციხისძირელებს — 7.100 კილოგრამამდე, ხუცუბნელებს — 7.450 კილოგრამი, მათ არც სხვები ჩამორჩებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციების უმრავლესობა ხანდაზმულია (მათი ასაკი 80 წელია), თავდადებული შრომით მაინც უხვი მოსავალი მოჰყავთ, გეგმა-ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ. შესანიშნავი წარმატებები აქვთ ოჩხამურისა და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობებს, რომელთა მოსავლიანობა ჰექტარზე 6.800 კილოგრამს აღწევს.

ხელვაჩაურის რაიონმა ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა-ვალდებულება. აქ ვალდებულებით უნდა მოეკრიფათ 13.200 ტონა, ფაქტიურად 13.248 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს მრეწველობას.

საერთო წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს ჩაის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს ასეთი რაოდენობის ნედლეულის მიღება და გადამუშავება. ახლა აჭარის ასსრ პარტიული ორგანიზაციები, მშრომელები აანალიზებენ თავიანთ საქმიანობას, მიღწევებსა და ნაკლოვანებებს და სახავენ ახალ ღონისძიებებს, რათა კიდევ უფრო ამაღლებულ იქნას პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და ამ საფუძველზე მომავალ წელს მიღებულ იქნას უფრო უხვი მოსავალი.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო პ. ნ. დჰარი

11 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მოსკოვში მყოფი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მთავარი მდივანი პ. ნ. დჰარი, რომელმაც ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ი. განდის წერილი.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირის მთავრობის მოწვევით 1973 წლის 7-10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი კაკუეი ტანაკა. პრემიერ-მინისტრ ტანაკას ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მასაიოსი ოჰირა და სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკოსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრ კ. ტანაკას და საგარეო საქმეთა მინისტრ მ. ოჰირას შორის გაიმართა მოლაპარაკება იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებზე, მათ შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების საკითხზე, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე.

პრემიერ-მინისტრი კ. ტანაკა და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ოჰირა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ.

გაიმართა მორიგი საკონსულტაციო შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრებს ა. ა. გრომიკოსა და მ. ოჰირას შორის.

შეხვედრების დროს, რომლებიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და იაპონიის 1956 წლის ერთობლივი დეკლარაციის საფუძველზე დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის მომენტიდან საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობა კეთილმეზობლურად განვითარდა და კერძოდ, მნიშვნელოვნად წაიწია წინ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში. მხარეებმა აღიარეს, რომ სსრ კავშირისა და იაპონიის კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთსარგებლობისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე არათუ შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა საერთო ინტერესებს, არამედ წარმოადგენს დიდ წვლილს შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილიზაციის საქმეში. ამასთან დაკავშირებით მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ ღონისძიებანი სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

1. მხარეებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროიდან დარჩენილი გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგება და საზავო ხელშეკრულების დადება შეიტანს წვლილს ქვეყნების ნამდვილად კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში, მოაწყეს მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ორივე მხარე შეთანხმდა განაგრძონ მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ 1974 წლის შესაბამის პერიოდში.

2. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სსრ კავშირისა და იაპონიის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების გზების თაობაზე. სასურველად იქნა მიჩნეული ეკონომიური თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის შეძლებისდაგვარად უფრო ფართო დარგებში ურთიერთსარგებლობისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე. მხარეები დაადგნენ ერთიან აზრს, რომ საჭიროა ეკონომიური თანამშრომლობის დაჩქარება, კერძოდ, ციმბირის ბუნებრივი რესურსების დამუშავებასთან დაკავშირებით. აგრეთვე ვაჭრობისა და თანამშრომლობის განვითარება სოფლის მეურნეობაში, სატრანსპორტო ტვირთზიდვასა და სხვა დარგებში. მხარეებმა დიდად შეაფასეს საბჭოთა კავშირ-იაპონიისა და იაპონია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის კომიტეტების საქმიანობა. მიღწეულია შეთანხმება, რომ ორი ქვეყნის მთავრობანი ხელს შეუწყობენ ამგვარ ეკონომიურ თანამშრომლობას, წაახალისებენ იაპონიის ფირმებისა (ან ამ ფირმების მიერ შექმნილი ასოციაციების) და შესაბამისი

(დასასრული მე-8 გვ.).

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა თვითეული კომუნისტის, ყველა მშრომელის საქმეა

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მთავარი ინჟინრების თათბირ-სემინარი

სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებელი პირობაა მატერიალური წარმოების შემდგომი ზრდა. ამიტომ ყრილობის მიერ შემუშავებულ პარტიის ეკონომიურ პოლიტიკაში მთავარი ყურადღება ეთმობა სწორედ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ყოველნაირ ამაღლებას. ამ მიზნის მიღწევის ძირითადი გზაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მაქსიმალური გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის ყველაზე აქტიურ მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა იყვნენ საწარმოთა მთავარი ინჟინრები, რომლებიც წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირველი ორგანიზატორები და გამტარებლები არიან. აი რატომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მოიწვია სამრეწველო საწარმოთა მთავარი ინჟინრების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა ქალაქ რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში. თათბირ-სემინარში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტების მეცნიერები და სპეციალისტები.

მოხსენება „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანები წარმოებაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და მთავარი ინჟინრების როლი მათ განხორციელებაში" გააკეთა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ზედგინიძემ.

გადაჭრით ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაისის პლენუმმა განიხილა საკითხი „1973 წლის პირველ ნახევარში სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგები და ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი".

პლენუმის გადაწყვეტილებებში კვლავ აღინიშნა, რომ სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, ხარვეზებმა, ზოგჯერ შეცდომებმაც, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იყო სახალხო მეურნეობის პარტიულ ხელმძღვანელობაში, გადამწყვეტწილად განსაზღვრეს მისი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის ჩამორჩენა, როგორიცაა მრეწველობა. ყველაზე არსებითი ის არის, რომ საქართველოს მრეწველობა წარმოების ზრდის ტემპით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხუთწლედის დავალებებს.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მრეწველობის მუშაობაში დაისახა გარკვეული გარდატეხა. მაგრამ მიღწეულმა წარმატებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვამშვიდოს, რადგან ბევრი ნაკლი, განსაკუთრებით წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში, აღმოფხვრილი არ არის. ამიტომ ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის კი არ უნდა შესუსტდეს, არამედ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცების საფუძველზე სულ უფრო უნდა გაიზარდოს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მყარი საძირკველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში, ვერ აღმოვფხვრით მხოლოდ შრომითი და მატერიალური რესურსების მობილიზაციით. ჩამორჩენის უსწრაფესი დაძლევისათვის საჭიროა ღონიერად განვამტკიცოთ მრეწველობის ტექნიკური ბაზა. ახალი მოწყობილობა, ტექნოლოგიური პროცესები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი — მთელი ეს ნაკადი ინფორმაციისა თუ ლითონის სახით, დღითიდღე განუხრელად მატულობს, და ეს ნაკადი მიდის მთავარ ინჟინრებთან, რომელსაც პირველ რიგში ეკისრება პასუხისმგებლობა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში შრომობს ასობით მთავარი ინჟინერი, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში დიდ ძალას, ჩვენს ჭეშმარიტად ოქროს ფონდს წარმოადგენენ. მთავარი ინჟინრების უმრავლესობას ვიცნობთ როგორც შემოქმედებითი შემართების ადამიანებს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, წარმოების უნარიან ორგანიზატორებს, მეურნეობრიობის ჩვენი მეთოდების ქომაგებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მთავარ ინჟინერთა შორის გვხვდებიან აგრეთვე უინიციატივო ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ შემოქმედებითი მაჩვენებლებით, ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონიათ არც ახალი, იდეები, არც გაბედული პროექტები.

დღეს განსაკუთრებით მწვავედ ისმის საკითხი, როგორ ჩავაბათ მთავარი ინჟინრები აქტიურ შემოქმედებითს მუშაობაში, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ისინი ნამდვილად მეთაურობდნენ ბრძოლას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხუთწლედის მიჯნებს, ყოველდღიურად უნდა ვეძებოთ და ავამოქმედოთ წარმოების ზრდის დამატებითი რეზერვები. ეს რეზერვები უნარიანად უნდა ვეძებოთ, გამოვავლინოთ და მტკიცედ ჩავაყენოთ წარმოების სამსახურში.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა კონკრეტული ღონისძიებანი მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად. ამ მუშაობაში მთავარმა ინჟინრებმა ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ.

წარმოების მოცულობის გადიდების საფუძველთა საფუძველია შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. მთავარი ინჟინრები უპირველეს ყურადღებას უნდა უთმობდნენ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას. რაოდენ დიდია ყოველ სამუშაო ადგილზე გამომუშავების გაზრდის შესაძლებლობა, დამაჯერებლად მოწმობს შემდეგი მაგალითი. შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის მრეწველობაში რვა თვის მანძილზე გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 105,4 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ, თუ არსებით გარდატეხას ვერ მივაღწიეთ, მრეწველობა ვერ უზრუნველყოფს ხუთწლედის პირველი სამი წლისათვის გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დონეს — 109,5 პროცენტს.

მთავარი ინჟინერი განზე ვერ გაუდგება ისეთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას, როგორიცაა მოწინავე გამოცდილების შესწავლა და გავრცელება. გავხადოთ საუკეთესოთა გამოცდილება მშრომელი კოლექტივის ყველა წევრის კუთვნილება, მივაღწიოთ იმას, რომ მოწინავეთა დღევანდელი მიღწევა ხვალ ყოველი მშრომელის მიჯნა გახდეს — ეს მთავარი ინჟინრის ვალია და პირდაპირი მოვალეობა.

ჩვენი რესპუბლიკის, — ქვეყნის საწარმოებში იბადება ბევრი საყურადღებო წამოწყება, გროვდება გამოცდილება, რომელიც ყურადღებას იმსახურებს. ასეთია, მაგალითად, თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების ამაღლების პირადი გეგმების შედგენა. მაგრამ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მთავარი ინჟინრები დღესაც ვერ იტყვიან, რომ ეს წამოწყება საქმიანად, სრული მოცულობით დანერგილიყოს ჩვენს საწარმოებში.

მთავარი ინჟინრების საქმიანობაში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა განხორციელება.

ქვეყნის ბევრმა საწარმომ, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთმა ქარხანამ და ფაბრიკამ, შეიძინა ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ეს გამოცდილება უდიდეს ყურადღებას საჭიროებს. მაგრამ, საწარმოთა ხელმძღვანელების, უწინარეს ყოვლისა მთავარი ინჟინრების მიზეზით იგი უაღრესად ნელა ვრცელდება. მთავარი ინჟინრები, მაგალითად, პასუხს აგებენ იმისათვის, რომ შარშან პროდუქციის სახელმწიფო დარგობრივი ატესტაციის დამთავრების ვადა ფაქტიურად დაირღვა, აგრეთვე იმისათვის, რომ ხარისხის მართვის დარგობრივ სისტემათა დანერგვის ნაცვლად ადგილებზე ხორციელდება სხვადასხვა დაქსაქსული ღონისძიებანი, რომლებიც ვერ მოგვცემენ და ვერც იძლევიან ჯეროვან ეფექტს.

ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეშიც კი, როგორიცაა ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე პროდუქციის ატესტაცია, შეიმჩნევა ფორმალიზმისა და მოჩვენებითობის ელემენტები. რესპუბლიკურ ცნობებსა და ანგარიშებში აღნიშნულია 70-ზე მეტი სახეობის პროდუქცია, რომლებსაც ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვთ. მაგრამ რატომღაც მაღაზიების თაროებზე სრულებითაც არ ჩანს ეს ნაწარმი — მათ უშვებენ ან ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით, ანდა რჩება მხოლოდ ნიმუშები ნაირ-ნაირი გამოფენებისათვის.

საჭიროა, რომ მთავარი ინჟინერი გამსჭვალოს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ქარხნისა და ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის. აგრეთვე ბეჯითად უნერგავდეს ამ გრძნობას თვითეულ მშრომელს. სიტყვით კი არა, საქმით უნდა ვნერგავდეთ ხარისხის მართვის სისტემებს, შემოვიღოთ ხარისხის საქარხნო ნიშნები და გეგმაზომიერად ვებრძოდეთ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს საწარმოებში შრომის ეფექტიანობის დონე ორგანულად დაკავშირებულია საწარმოო ცხოვრების ყველა მხარესთან, აქედან უნდა დაისახოს: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე პრინციპების დანერგვა, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი, ბრძოლა მაღალი შრომის დისციპლინისათვის, წარმოების კულტურისათვის, სამუშაო დროის, მოწყობილობის რაციონალური და მაქსიმალური გამოყენებისათვის, ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება — აი იმ ამოცანათა კომპლექსი, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაპყრონ მთავარმა ინჟინრებმა, საწარმოთა კოლექტივებმა.

საწარმოს „ტვინის ცენტრი"

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს წარმოების ყველა ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, უწინარეს ყოვლისა — მთავარ ინჟინრებს, რომლებსაც თათბირ-სემინარზე ხატოვნად საწარმოს „ტვინის ცენტრი" უწოდეს. მთავარი ინჟინრები კარგად უნდა ერკვეოდნენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში, ბეჯითად იღრმავებდნენ და იფართოებდნენ ცოდნას, ერთი სიტყვით, უნდა სწავლობდნენ. მხოლოდ ყოველდღიური და სერიოზული სწავლება მისცემს შესაძლებლობას მთავარ ინჟინერს ფეხი აუწყოს ცხოვრებას, იმუშაოს შემოქმედებითად, საქმის ცოდნით.

მაგრამ მრეწველობაში ვხვდებით ფაქტებს, როცა ტექნიკური და ეკონომიური მომზადების თვალსაზრისით შეუწყნარებლად დაბალ დონეზე დგანან ჩვენი ხელმძღვანელი კადრები, მათ შორის მთავარი ინჟინრებიც, რომლებიც ტექნიკური პოლიტიკისა და წარმოების ორგანიზაციის ბედს განაგებენ. ზოგს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხებზე, ხშირად ხმარობს სრულიად გაუგებარ, ტექნიკური თვალსაზრისით უწიგნურ ტერმინებს. განა შესაწყნარებელია, რომ მთავარმა ინჟინერმა ზუსტად არ იცოდეს, თუ რა რესურსებს შეიცავს საწარმოს მიერ გამოშვებული ნაწარმი ან ნათლად არ ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ რა ტემპით უნდა ვითარდებოდეს ქარხანა! ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგალითად, ფოთის „ელექტროაპარატის" ქარხნის მთავარი ინჟინერი ნ. ხულავა.

სპეციალისტების, მათ შორის მთავარი ინჟინრების მაღალ პროფესიულ მომზადებაზე, მათ ცოდნაზე ბევრად არის დამოკიდებული საწარმოს ტექნიკური საქმე. ამიტომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების ატესტაციის შემოღების შესახებ. ეს ატესტაცია უნდა ეწყობოდეს პერიოდულად, 3-5 წელიწადში ერთხელ. მუშაკის ატესტაციის დროს უნდა გავითვალისწინოთ მისი პირადი წვლილი სახელმწიფო გეგმების, განსაკუთრებით ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის დავალებათა შესრულებაში. ფორმალურად კი არა, უაღრესად სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ისეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას, როგორიცაა ინჟინერთა კადრების პერიოდული ატესტაცია. ობიექტურად, ყოველგვარი შეღავათების გარეშე, უნდა შევაფასოთ თვითეული ინჟინრის ცოდნის დონე, განვსაზღვროთ, რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს მან საქმეს, კოლექტივს.

მარტო კარგი ცოდნა როდი განსაზღვრავს მთავარი ინჟინრის სახეს. მან უნდა იცოდეს ტექნიკური პროგრესის ამოცანების განხორციელების მიზანსწრაფული ხელმძღვანელობა, ურთულესი ტექნიკური და ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტა.

უკვე ბევრჯერ ითქვა, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში წლიდან წლამდე ვერ სრულდება მეცნიერებისა და ტექნიკის გეგმები. ხუთწლედის დამდეგიდან, როგორც 1971 წელს, ისე 1972 წელსაც ეს გეგმები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, არსებითად ჩაიშალა.

სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკულად შეუსრულებელი დარჩა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების ტექნიკური სრულყოფის ტემპზე. ახალი ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო გეგმების შესრულების გარდა თვითეული მთავარი ინჟინერი დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა რეალიზაციის საქარხნო და საამქრო გეგმების დანერგვას.

ამასთან დაკავშირებით დადებითს შეფასებას იმსახურებს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის გამოცდილება, სადაც მთავარი ინჟინრის ზ. ჩიკვაძის ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ადგენენ ახალი ტექნიკის ყველა იმ ღონისძიების კრებსით გეგმას, რომლებიც ხორციელდება თვითეულ საამქროში და უბანზე, თანაც მათ შესრულებას ითვალისწინებენ საწარმოთა ქვეგანაყოფების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას. ეს გამოცდილება ყურადღების ღირსია.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საკითხებს გულგრილად ვერ მოვეკიდებით, მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა მადნეულის სპილენძის კონცენტრატების გადამუშავება ადგილზე, მადნეულში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ქართველმა მეცნიერებმა სხვა რესპუბლიკის მეცნიერთა მონაწილეობით შეიმუშავეს სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრატების ერთად გადამუშავების ახალი, არსებულთან შედარებით უფრო ეფექტიანი ხერხები.

პრობლემის გადაწყვეტა შეთანხმებულია სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროსთან, რომელმაც სამჯერ დაავალა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს შეემუშავებინა და შეედგინა მადნეულში სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრატების გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის ეტაპობრივი კომპლექსური გამოცდის პროგრამები, მაგრამ კომბინატის მთავარი ინჟინრის ვ. მახარაძის სიზანტის გამო ეს დავალება არ შესრულებულა.

მთავარი ინჟინრების დიდ ყურადღებას იმსახურებს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხები. ის მით უმეტეს მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მრეწველობის მთელ რიგ დარგებში კვლავ მეტისმეტად დიდია ხელის შრომის წილი.

მთავარი ინჟინრის დიდ და მრავალმხრივ საქმიანობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის ზრუნვა არ უნდა ითვლებოდეს რაღაც მეორე ხარისხოვან საქმედ. რესპუბლიკაში ყოველი მეოთხე მრეწველობის მუშა ჯერჯერობით ხელით შრომობს. დაუშვებელია მკვეთრი დისპროპორციები ძირითადი და დამხმარე პროცესების მექანიზაციის დონეთა შორის. თუ მთელ ყურადღებას მხოლოდ ძირითადი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და მექანიზაციას დავუთმობთ და დავივიწყებთ დამხმარე პროცესებს, მნიშვნელოვნად შემცირდება შრომითი დანახარჯების ეკონომია.

მთავარი ინჟინრები წარმოებასთან მეცნიერების თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების ყველაზე აქტიური დამცველები უნდა იყვნენ, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს იმას, რომ სამეცნიერო დაწესებულებანი აქტიურ გავლენას ახდენდნენ მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. წარმოებასთან მეცნიერების ურთიერთობის კარგი ნიმუშია, მაგალითად, საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მჭიდრო კონტაქტი თბილისის ქარხანა „მიკრომავთულთან". ინსტიტუტმა საწარმოსათვის შეიმუშავა ტექნოლოგიური პროცესები და ტექნოლოგიური მოწყობილობის კომპლექსი ახალი ელექტრომანქანების წარმოებისათვის, რომელთა ათვისება გათვალისწინებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით. ინსტიტუტის საცდელ ქარხანაში დაამზადეს 16 ერთეული სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელსაც ამჟამად სამრეწველო ექსპლოატაციას უწევენ ქარხანაში. ინსტიტუტის კონსტრუქტორები და ტექნოლოგები აქტიურად მონაწილეობენ თავიანთ ნამუშევართა დანერგვაში. თავის მხრივ, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მთავარი ინჟინრის თ. ნოზაძის მეთაურობით და ქარხნის მუშები ყოველმხრივ ეხმარებიან ინსტიტუტს მოწყობილობის დამონტაჟებაში, გამართვასა და ამუშავებაში. ამ ნამუშევართა დანერგვა საშუალებას მისცემს ქარხანას მნიშვნელოვნად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, გაათავისუფლოს 220 მუშა და სახალხო მეურნეობას მისცემს წელიწადში 500 ათას მანეთზე მეტ ეკონომიურ ეფექტს.

შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, რესპუბლიკის საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოთა კავშირის ინიციატივა წარმოებასთან მეცნიერების კავშირის ფართო ფორმების საქმეში თანამეგობრობის განსამტკიცებლად. ეს ინიციატივა მარტო მოწოდებად არ უნდა დარჩეს.

ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიების საწარმოთა ყველა სამსახურის და პირადად მთავარი ინჟინრის უპირველესი ამოცანაა ყოველნაირად ეხმარებოდნენ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, რადგან როგორც ინსტიტუტში, ისე საწარმოში, საბოლოო ანგარიშით, ყველა საერთო მიზნისათვის შრომობს. აქ არ შეიძლება იყოს რაიმე მიკერძოება, ვიწრო ინტერესები, ტექნიკური სიახლეთა ბედისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს წარმოების ნოვატორებმა, რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა. პირველნი სწორედ ისინი უკვალავენ გზას მაღალ შრომის ნაყოფიერებას. საწარმოთა მთავარ ინჟინრებს ღრმად უნდა ესმოდეთ ეს და გულისხმიერებითა და ყურადღებით ეკიდებოდნენ მოწინავეთა შემოქმედებას, ეხმარებოდნენ და მხარს უჭერდნენ მათ.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის დიდ მუშაობას ეწევა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი. ამ დარგში მუშაობას ხელმძღვანელობს საწარმოს მთავარი ინჟინერი მ. მინდელი. ეს მუშაობა აქ ფართოვდება და იზრდება. ქარხნის მთავარი ინჟინერი ჯეროვანი ყურადღებით ეკიდება ტექნიკურ შემოქმედებას და ფაქტიურად თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ეყრდნობა წარმოების ნოვატორებს.

ავიღოთ ორი მონათესავე საწარმო — კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნები. ამ ქარხნებს ერთნაირი პროფილი და სამუშაო აქვთ, ორივე ცემენტს უშვებს. მაგრამ კასპის ქარხანაში, თუმცა აქ მუშაკთა რიცხვი მეტია, გასულ წელს შემოვიდა 15 წინადადება, რუსთავის ქარხანაში კი — 54. ავტორთა რიცხვი 100 მუშაკზე, რომლებმაც შემოიტანეს წინადადებანი, კასპის ქარხანაში შეადგენს 1,5-ს, ხოლო რუსთავის ქარხანაში — 7,1-ს. როცა ვადარებთ სხვა მაჩვენებლებსაც, როგორიცაა მაგალითად, წინადადებათა ავტორების რიცხვი, დანერგილ წინადადებათა რაოდენობა, ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ რუსთავის ცემენტის ქარხნის მთავარი ინჟინერი ზ. პლევაკო უფრო სერიოზულ ყურადღებას უთმობს წარმოების რაციონალიზაციის საკითხებს, ვიდრე მისი კოლეგა — კასპის ცემენტის ქარხნის მთავარი ინჟინერი შ. კურუა.

არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს რუსთავის ქიმიური კომბინატის საამქროს უფროსის ჯ. მგელაძის ინიციატივა, რომელმაც წამოაყენა წინადადება გაიშალოს მოძრაობა დევიზით „თვითეული ინჟინერი და ტექნიკოსი — რაციონალიზატორი". სურამის მინის ტარის ქარხანაში ახალგაზრდა სპეციალისტები სწორედ ამ ქალთა მაგალითით ჩადგნენ შეჯიბრების მონაწილეთა რიგებში დევიზით: პირადი შემოქმედებითი გეგმა — თვითეულ ინჟინერსა და ტექნიკოსს". თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში შემოღებულია თვითეული ინჟინრის თავისებური პირადი პასპორტი, რომელშიც შეაქვთ მთელი მისი შემოქმედებითი საქმიანობა. ინჟინერთა შემოქმედების აღრიცხვის ეს ფორმა მეტად თვალსაჩინოა.

თათბირ-სემინარზე თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. პივოვაროვმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარმა ინჟინერმა მ. მინდელმა, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ზ. ჩიკვაძემ, რუსთავის ქიმიური კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ზ. კერვალიშვილმა, რუსთავის ცემენტის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ზ. პლევაკომ, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" მთავარმა ინჟინერმა რ. ბებერაშვილმა, გაერთიანება „სამტრესტის" მთავარმა ინჟინერმა ა. ქურდაძემ, გაერთიანება „თბილთამბაქოს" მთავარმა ინჟინერმა ვ. ქრისტინაშვილმა, სურამის მინის ტარის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა თ. ხარიშვილმა. მათ შემოიტანეს ბევრი საინტერესო წინადადება, აღძრეს მთელი რიგი აქტუალური პრობლემები. კერძოდ, მთავარმა ინჟინრებმა ილაპარაკეს კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება განამტკიცებს სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირს საწარმოებთან, ამ თანამეგობრობას უფრო საქმიანსა და ეფექტიანს გახდის.

ვერ შევურიგდებით ისეთ ფაქტებს, როცა რესპუბლიკის საწარმოთა ტერიტორიებზე და საწყობებში დევს, ფუჭდება და მორალურად ძველდება მილიონობით მანეთის ახალი ტექნიკა, მაშინ როცა ამ საწარმოებში ჯერ კიდევ ბევრია ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობა და მორალურად მოძველებული ტექნიკა. განსაკუთრებით ეს ეხება საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს და სხვ.

მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, კერძოდ, მთავარ ინჟინერთა სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას. რატომ დებენ შეჯიბრების ურთიერთხელშეკრულებებს მხოლოდ მუშები და მხოლოდ ისინი რატომ კისრულობენ ინდივიდუალურ ვალდებულებებს! „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხომ ნათქვამია, რომ დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ სხვადასხვა კატეგორიის მშრომელთა შეჯიბრების ორგანიზაციას. უნდა ვეძებოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ჩაბმის ახალი ფორმებიც.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მოწესრიგდეს მთავარი ინჟინრის სამუშაო დღე, ზერელედაც რომ გავაანალიზოთ მთავარი ინჟინრის სამუშაო დრო, საკმაოდ არასახარბიელო სურათი ვლინდება: შემოქმედებითს მუშაობას, ტექნიკური, საწარმოო საკითხების გადაჭრას მთავარი ინჟინერი ახმარს სამუშაო დროის სულ 20-25 პროცენტს, ზოგჯერ კი უფრო ნაკლებსაც. დანარჩენი დრო ხმარდება სულ სხვადასხვა მეორეხარისხოვან საქმეებს, რომელთა შესრულება წარმატებით შეუძლია ნაკლებ კვალიფიციურ მუშაკს. პირველ რიგში საწარმოთა დირექტორები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მთავარ ინჟინრებს შეუქმნან შემოქმედებითი შრომის პირობები.

შემოტანილ იქნა წინადადება — მოეწყოს მთავარ ინჟინერთა სემინარები მრეწველობის დარგების მიხედვით, უფრო დეტალურად. თვითეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით განიხილონ მთავარ ინჟინერთა კონკრეტული ამოცანები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

სპეციალისტთა შემოქმედებითს ზრდას — პარტიული ზრუნვა

როცა ვიხილავთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანებს, სამართლიანად უნდა მივმართოთ მთავარ ინჟინრებს, ყველა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს. მათი შემოქმედებითი შრომის მნიშვნელობა ხაზგასმულია რამდენიმე წლის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში „ირკუტსკის ოლქის საწარმოებში და მშენებლობებზე ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების როლის ამაღლებისათვის სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ".

დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ პარტიული კომიტეტები არ იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორებისა და მთავარი ინჟინრებისადმი წარმოების ტექნიკური დონისათვის, ურიგდებიან იმას, რომ სისტემატურად ვერ სრულდება ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმები, ნელა მიმდინარეობს ახალი საწარმოო სიმძლავრეების, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ათვისება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ტექნიკურ პროგრესს საწარმოებში მნიშვნელოვანწილად აფერხებს ის, რომ წარმოების ბევრ უმნიშვნელოვანეს უბანს ხელმძღვანელობენ ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ საჭირო ტექნიკური და ეკონომიური მომზადება. ამასთანავე, პარტიული ორგანიზაციები არ ზრუნავენ იმისათვის, რომ სპეციალისტებს შეუქმნან შემოქმედებითი ზრდის, მათი ცოდნის დღენიადაგ შევსების პირობები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ განავითარონ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, კერძოდ მთავარი ინჟინრების ინიციატივა და აქტივობა, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა თავიანთი უშუალო სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის. ეს დადგენილება საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს საქმიანობას.

პარტიულ ორგანიზაციათა უპირველესი ამოცანა ის არის, რომ გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა მთავარ ინჟინრებთან, უშუალოდ მოჰკიდონ ხელი კადრების შერჩევასა და განაწილებას წარმოების ამ უმნიშვნელოვანეს რგოლში. თვითეულმა სპეციალისტმა უნდა გამოიჩინოს კეთილსინდისიერი, შემოქმედებითი დამოკიდებულება საქმისადმი, ღრმად უნდა ესმოდეს და მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდეს სამსახურეობრივ მოვალეობას, თავის მოვალეობას კოლექტივისა და სახელმწიფოს წინაშე.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მთავარი ინჟინრების როლი არ ამოიწურება მეცნიერულ-ტექნიკური, საწარმოო-ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტით. საბჭოთა ინჟინრები ასრულებენ აგრეთვე იდეურ-აღმზრდელობითს ფუნქციებს, არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდისტები. თათბირ-სემინარზე ითქვა, რომ მთავარმა ინჟინრებმა უნდა მიაღწიონ შრომითი კოლექტივის სტაბილურობას, კვალიფიციურობასა და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ აქტივობას.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალრიცხოვან მთავარ ინჟინერთა შორის ბევრია თავისი საქმის საუცხოო მცოდნე. ეს ადამიანები არა მარტო მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, არამედ უნარიანი აღმზრდელებიც არიან. ისინი დაუფლებული არიან აღმზრდელობითს მუშაობასთან საწარმოო პროცესის ხელმძღვანელობის შეხამების ხელოვნებას. მათი უშუალო ხელმძღვანელობით, მათი საქმიანი მეურვეობით იზრდება წარმოების მოწინავეთა მთელი თაობები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აზრს იძენს საწარმოს მთავარი ინჟინრის საქმიანობა.

მთავარი ინჟინერი უნდა ზრდიდეს აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ კადრებს. ამასთან აღზრდა მოითხოვს მეთოდურობას, სტაბილურად მოქმედი ფაქტორებისა და სტიმულების შემუშავებას. ახალგაზრდა ინჟინრებს უნდა ჩავუნერგოთ შემსრულებლობის გრძნობა. მაღალი შემსრულებლობითი კულტურის გარეშე არ შეიძლება იყოს თანამედროვე წარმოება. ახალგაზრდობისაგან შემსრულებლობის მოთხოვნა ნამდვილად სრულფასოვანი მუშაკების, მაღალი კვალიფიკაციის ისეთი მუშაკების მომზადების გარანტიაა, რომლებიც მეტად გვჭირდება უკვე ახლა, ხვალ კი კიდევ უფრო დაგვჭირდება.

საინჟინრო შრომაზე გაზრდილი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს უმაღლესი ტექნიკური განათლების სისტემამ, რომელიც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებს წარმოებისა და მეცნიერებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში იყოს იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც აყენებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი. მაგრამ, როგორც თათბირ-სემინარზე აღინიშნა, ამ საქმეშიც არის სერიოზული ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა, პირველ რიგში, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, ისე უნდა მოაწყონ სწავლება, რომ მომავალმა ინჟინერმა ღრმა თეორიული მომზადება მიიღოს.

ფართო პროფილის ინჟინერთა ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მიეკუთვნებათ ფუნდამენტურ მეცნიერებებს — მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას. განსაკუთრებით დიდია მათემატიკის მნიშვნელობა, თანამედროვე წარმოება ხომ ინჟინრის წინაშე აყენებს ათობით მათემატიკურ ამოცანას, რომლებიც უნდა დაინახო, ჩამოაყალიბო და ამოხსნა. ამისათვის საჭიროა სერიოზული მათემატიკური მომზადება, რომელსაც ამ ბოლო დრომდე რესპუბლიკის ყველა ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი როდი აძლევდა სტუდენტებს. მოიყვანეს მაგალითები, როცა ინჟინრები, რომლებიც მოღვაწეობდნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, რესპუბლიკის ქიმიურ, მანქანათსაშენებელ საწარმოებში, ცოტა ხნის შემდეგ იძულებული ხდებოდნენ დაეტოვებინათ სამუშაო არასაკმარისი მომზადების გამო, იმის გამო, რომ ვერ აკავშირებდნენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკასთან.

ყოველივე ზემოთ თქმულის შესაბამისად პარტიული ორგანიზაციები, სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები უნდა დაეხმარონ მთავარ ინჟინრებს მონახონ თავიანთი ჭეშმარიტი ადგილი კოლექტივში, ასწავლონ შემოქმედებითად მუშაობა, დაუსახონ პერსპექტივა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მინდობილ უბანზე ისინი პასუხს აგებდნენ, უწინარეს ყოვლისა, წარმოების დონისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, გამოცდილების გაზიარებისათვის და, რა თქმა უნდა, მშრომელთა აღზრდისათვის. მთავარი ინჟინრები — ეს არის დიდი ძალა, მათი შრომის უკუგება დიდი და დასანახი უნდა იყოს.

პარტორგანიზაციათა კრებებზე, პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების სხდომებზე უფრო ხშირად უნდა მოვისმინოთ მთავარი ინჟინრების შემოქმედებითი ანგარიშები, ტექნიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით გავაანალიზოთ წარმოების განვითარების არსებული დონე და პერსპექტივები. ტექნიკური პროგრესის დარგში შემუშავებულ ზოგად მიმართულებებს და რეკომენდაციებს უნდა განამტკიცებდნენ პრაქტიკული ღონისძიებებით, უნდა უკავშირებდნენ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებს.

მთავარი ინჟინრის უკუგება, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კიდევ უფრო იზრდება სამსახურებრივ ფარგლებს გარეთ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის შედეგად. სწორედ ამას ემყარება ტექნიკური ინტელიგენციის განსაკუთრებული ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „კოლექტივის წევრთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მონაწილეობის შესახებ".

ყოველ კოლექტივში ბევრი ადგილია, სადაც შეიძლება ინჟინერთა ძალების გამოყენება, და ყველგან ყველა პირობაა იმისათვის, რომ მთავარმა ინჟინერმა სავსებით გამოავლინოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი. მის პირად წვლილს ხუთწლედში დიდი მნიშვნელობა აქვს ყველგან, სადაც ადამიანები ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს. ამიტომ მთავარი ინჟინრის შრომაში ზუსტად უნდა გამოვლინდეს უწინარეს ყოვლისა მისი, როგორც კომუნისტისა და ხელმძღვანელის, პარტიული პოზიციები.

მთავარი ინჟინერი ღრმად უნდა ეუფლებოდეს ცოდნასა და სამეურნეო ხელმძღვანელის ჩვევებს, რათა გახდეს დაწინაურების რეზერვი, შეეძლოს დროდადრო იყოს საწარმოს დირექტორიც.

ყველა ამ თვისების დაუფლება რთული ამოცანაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრ შემთხვევაში მისი შესრულება შეიძლება.

ჩვენს ყოველდღიურ მუშაობასა და ცხოვრებას საფუძვლად უნდა დავუდოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის საკითხები. ეს საკითხები ახალი როდია, ისინი გამომდინარეობენ ლენინის მითითებებიდან, ლენინის ანდერძიდან. დღეს დისციპლინის განმტკიცების საკითხი ძირეული საკითხია.

დისციპლინის ამაღლება ნიშნავს ავამაღლოთ თვითეულის პასუხისმგებლობა მუშაობის მინდობილი უბნისათვის, პირველ რიგში ხელმძღვანელობის, მთავარი ინჟინრების პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, და თუ მუშაკი კარგავს მომთხოვნელობის ამ გრძნობას საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი, იგი კარგავს მორალურ უფლებას — იწოდებოდეს ხელმძღვანელად.

თათბირ-სემინარზე თემატური მოხსენებანი წაიკითხეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ჭავჭანიძემ — „კიბერნეტიკა თანამედროვე წარმოებაში", საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორმა სამეცნიერო მუშაობაში, პროფესორმა თ. ლოლაძემ — „დარგის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზი ახალი ტექნიკის შექმნის სამუშაოთა დაგეგმვისა და საწარმოს ხელახალი ტექნიკური აღჭურვის გეგმების შედგენისათვის", საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ჯ. იოსავამ — „მომავალი ეკუთვნის მეცნიერულ-ტექნიკურ გაერთიანებებს", საბჭოთა კავშირის დ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილემ ნ. გიორგობიანმა — „ხარისხი და სტანდარტები", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსმა ი. ლორთქიფანიძემ — „რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის პერსპექტივები", საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სექტორის გამგემ, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. დემეტრაშვილმა — „წარმოების მომზადების ტექნოლოგიური აღჭურვა უნივერსალურ-საამწყობო სამარჯვებით და უნივერსალური გადასაკეთებელი ტექნოლოგიური მოწყობილობით", საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური კვლევის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა გ. ჯოშკარიანმა — „მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სამსახური მოთხოვნათა თანამედროვე დონეზე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის დასაჩქარებლად", საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა დ. ლომსაძემ — „ზუსტი სხმულის, ზუსტი ტიფრვის, წნევის ქვეშ სხმულის პროგრესული ნამზადების გამოყენება და სხვ. — წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია" და სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. მეტრეველმა — „რაციონალიზატორული, გამომგონებლობითი და საპატენტო-სალიცენზიო სამსახურის როლი საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში".

თათბირ-სემინარის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. პატარიძემ.

* * *

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები, ნახეს სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმები, გაეცნენ თბილისისა და რუსთავის ზოგიერთი საწარმოს მუშაობას. (საქინფორმი).

მთავარი ინჟინერი წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ორგანიზატორია!

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივი განცხადება

(დასასრული).

საბჭოთა ორგანიზაციების კონტრაქტების დადებას, ხელს შეუწყობენ ამ კონტრაქტების ნორმალურ და დროულ განხორციელებას. ამ მიზნით ისინი შეთანხმდნენ შემოიღონ სამთავრობათაშორისო კონსულტაციების მოწყობა.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ეკონომიური თანამშრომლობა ზემოთ აღნიშნულ დარგებში, განსაკუთრებით ციმბირის ბუნებრივი რესურსების დამუშავებასთან დაკავშირებით, არ გამორიცხავს მესამე ქვეყნების მონაწილეობას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირისა და იაპონიის თევზჭერასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, რის შედეგადაც მხარეები, წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ხანგრძლივი და სტაბილური რეწვის უზრუნველყოფის მიზნით, შეთანხმდნენ განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი, მათ შორის გადაჭრან საკითხი თევზჭერის მოცულობის განსაზღვრის შესახებ. მხარეები დაადგნენ ერთიან აზრს, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს კონსულტაციები ორი ქვეყნის შესაბამის მინისტრებს შორის ამ საკითხზე.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმ რაიონებში იაპონელი მებადურების რეწვის თაობაზე წინათ დაწყებული მოლაპარაკების შესახებ, რომელთა გამო მხარეები ცალკე შეთანხმდებიან.

მხარეებმა სასარგებლოდ ცნეს მთავრობათა კავშირურთიერთობის გაფართოება მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში და მაღალი შეფასება მისცეს 1973 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრის გრომიკოსა და იაპონიის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრის ოჰირას მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და იაპონიის მთავრობის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებას.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს კულტურის დარგში კავშირურთიერთობის კეთილნაყოფიერი განვითარება და მაღალი შეფასება მისცეს 1973 წლის 10 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრის გრომიკოსა და, იაპონიის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრის ოჰირას მიერ მეცნიერთა და ასპირანტთა, ოფიციალური ნაბეჭდი გამოცემების გაცვლისა და საინფორმაციო მასალების გავრცელების შესახებ შეთანხმებათა დადებას.

მხარეებმა საჭიროდ ცნეს გააფართოონ მომავალში სსრ კავშირისა და იაპონიის კონტაქტები ბუნების დაცვის დარგში და მაღალი შეფასება მისცეს 1973 წლის 10 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრის გრომიკოს და, იაპონიის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრის ოჰირას მიერ ხელმოწერილ სსრ კავშირისა და იაპონიის კონვენციას მიგრირებადი და გაქრობის საფრთხეში მყოფ ფრინველთა და მათი ბინადრობის გარემოს დაცვის შესახებ, როგორც პირველ ნაბიჯს ამ თანამშრომლობის გზაზე.

მხარეებს შეგნებული აქვთ, რომ ენერგიის მაღალეფექტიანი წყაროების ათვისებას შეუძლია ხელი შეუწყოს მსოფლიო ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრას და საჭიროდ ცნეს გააფართოონ თანამშრომლობა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში და ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის მეცნიერთა და ტექნიკურ სპეციალისტთა გაცვლის, აგრეთვე ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელობას, როგორც პირველ ნაბიჯს ამ თანამშრომლობის გზაზე.

მხარეები დაადგნენ ერთიან აზრს, რომ საჭიროა ხელი შეუწყონ ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონტაქტების გაფართოებას.

მხარეებმა საჭიროდ ცნეს პერიოდულად მოეწყოს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების კონსულტაციები, რის თაობაზეც მიღწეული იყო შეთანხმება სსრ კავშირისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის 1966 წელს.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის კ. ტანაკას იმ თხოვნის გამო, რომ ნება დართონ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოფილ იაპონელ მოქალაქეებს წავიდნენ იაპონიაში და იაპონელებმა შეინახულონ ხოლმე თავიანთი ნათესავების დაკრძალვის ადგილები, საბჭოთა მხარემ, რომელიც ჰუმანურობის გრძნობებით ხელმძღვანელობს, დაადასტურა, რომ მზად არის კვლავაც ჯეროვანი ყურადღებით განიხილოს ეს საკითხები.

3. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე ქვეყნისათვის საინტერესო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობა ვითარდება დაძაბულობის შენელების მიმართულებით და კიდევ უფრო ნორმალური ხდება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობა. ამავე დროს მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ამჟამად დედამიწის მთელ რიგ რაიონებში გრძელდება კონფლიქტები, და ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ყველა სახელმწიფო ერთმანეთთან ურთიერთობაში იცავდეს მოლაპარაკების გზით კონფლიქტების გადაწყვეტის, ძალის ან მისი გამოყენებით დამუქრებისაგან თავის შეკავების პრინციპებს.

მხარეებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვეობის ძირეული პრობლემა, რომელიც ყველა ხალხის ინტერესებს ეხება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შემდგომი დაჩქარება და მტკიცე და საყოველთაო, მშვიდობის უზრუნველყოფაა. ამავე დროს, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მხარეებმა აღიარეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში, და გამოთქვეს ერთნაირი აზრი, რომ განაგრძონ მეცადინეობა ამ ორგანიზაციის ეფექტიანობის განმტკიცებისათვის.

მხარეებს ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების მიღწევას და განსაკუთრებით ატომური განიარაღების უსწრაფესად განხორციელებას, და განაცხადეს, რომ აპირებენ ყველაფერი იღონონ ამ მიზნების მისაღწევად.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს შეიარაღებისადმი კონტროლისა და კონფლიქტების თავიდან აცილების დარგში მიღწეული პროგრესის გამო, სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკების დროს შესაბამისი შეთანხმებისა და ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ ამერიკა-საბჭოთა კავშირის შეთანხმების გამო.

აზიაში მდგომარეობის შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარების დროს მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ხელმოწერილია საზავო შეთანხმება ვიეტნამის შესახებ, აგრეთვე საზავო შეთანხმება ლაოსის შესახებ და ოქმი ამ შეთანხმების განხორციელების შესახებ. ორივე მხარემ გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ეს შეთანხმებანი, თუ ზუსტად შეასრულებს ყველა მხარე, სახავენ ინდოჩინეთში მტკიცე მშვიდობის დამყარების შესაძლებლობას, აგრეთვე გამოთქვეს აზრი, რომ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის პრობლემები უნდა გადაწყვიტონ ამ ქვეყნების ხალხებმა გარედან ჩაურევლად.

მხარეები მიესალმნენ იმ ფაქტს, რომ გზა გაეხსნა სამხრეთისა და ჩრდილოეთის დიალოგს კორეის ნახევარკუნძულზე.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება ღონისძიებათა გამო, რომლებსაც შესაბამისი სახელმწიფოები ახორციელებენ სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის.

მხარეებმა აგრეთვე ხაზი გაუსვეს, რომ აზიის მშვიდობისა და მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში დიდი წვლილია აზიის ქვეყნების საკუთარი ღონისძიებათა აქტიური ხელშეწყობა მათი დამოუკიდებლობის პატივისცემის საფუძველზე.

მხარეებმა დიდი შეშფოთება გამოთქვეს ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების განახლების გამო და განაცხადეს, რომ ახლანდელი მდგომარეობის უსწრაფესად მოწესრიგების იმედი აქვთ. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე დამყარდეს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში.

მხარეებმა განაცხადეს, რომ ორივე ქვეყანა მზად არის კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს ყველა ხალხის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა უშუალო დიალოგი, რომელიც გულახდილობისა და კონსტრუქციული სულისკვეთებით მიმდინარეობდა, ფრიად სასარგებლო იყო და დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებაში. მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა გაგრძელდეს ორი ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა დიალოგი.

პრემიერ-მინისტრმა კ. ტანაკამ მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს გაწეული მასპინძლობისათვის და იაპონიის მთავრობის სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი მიიწვია იაპონიაში იმ ვადებში, რომლებიც დამატებით იქნება შეთანხმებული. ამ მიწვევას მადლობით დაეთანხმნენ.

ა. ნ. კოსიგინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	**კ. ტანაკა** იაპონიის პრემიერ-მინისტრი
ა. ა. გრომიკო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი	**მ. ოჰირა** იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი

1973 წლის 10 ოქტომბერი.

იაპონიის პრემიერ-მინისტრი მოსკოვიდან გაემგზავრა

10 ოქტომბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა იაპონიის პრემიერ-მინისტრი კაკუეი ტანაკა. იგი სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო იაპონიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, კაკუეი ტანაკა გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, სსრ კავშირის მინისტრებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა იაპონიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

კაკუეი ტანაკამ ა. ნ. კოსიგინთან ერთად ჩამოიარა საბჭოთა მეომრების მწყობრს.

იაპონიის მთავრობის მეთაური აეროდრომზე გააცილეს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა.

პროსპექტები და მოედნები, რომლებითაც გაიარა ავტომანქანების კორტეჟმა, მორთული იყო იაპონიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებითა და მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

იაპონიის პრემიერ-მინისტრთან ერთად გაემგზავრნენ იაპონიის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მთავრობის მეთაურს ახლდნენ სსრ კავშირში მოგზაურობის დროს. (საქინფორმი).

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია

11 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშლის სტანისლავ გუცვას მეთაურობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტრო.

მიფრინავს „კოსმოს-598“

1973 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-598“. თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქინფორმი).

ა. ა. გრომიკომ მიიღო არაბული ქვეყნების ელჩები

11 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩი ჰ. ა. ღალები, სირიის არაბთა რესპუბლიკის ელჩი ჯ. შაიი, ერაყის რესპუბლიკის ელჩი ს. მ. ამაში, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი რ. მალექი და იორდანიის ელჩი ჰ. კამუდი მათივე თხოვნით.

მოსკოვში აკრედიტებული არაბულ სახელმწიფოთა ყველა ელჩის სახელით მათ ამ სახელმწიფოების დიდი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირს ფასდაუდებელი ყოველმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც არაბულ ქვეყნებს უწევს ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ და თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით ა. ა. გრომიკომ კვლავ დაადასტურა საბჭოთა კავშირის პრინციპული ხაზი, რომელიც უცვლელად მოითხოვს არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას. ამასთან დაკავშირებით მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 8 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც ყველაფერი იღონოს ახლო აღმოსავლეთში მყარი და სამართლიანი მშვიდობისა და ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს და ხალხის გარანტირებული უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელოს ეს პრინციპული პოლიტიკა.

მსოფლიო დღეს

საომარი მოქმედება ახლო აღმოსავლეთში

კაირო, 10 ოქტომბერი. (საქინფორმი). ეგვიპტის სამხედრო სარდლობა იუწყება, რომ დღეს ისრაელის ავიაციამ სცადა იერიში მიეტანა ეგვიპტის საფრონტო ავიაბაზებზე. ეგვიპტის საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს ჩამოაგდებინეს ბომბების ტვირთი დასახული მიზნებიდან მოშორებით და მოსპეს ისრაელის ოთხი თვითმფრინავი. მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს აგრეთვე სინის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.

ამავე დღეს ეგვიპტის თვითმფრინავებმა დაბომბეს ისრაელის ჯარების მართვის ცენტრში სინის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე. მიყენებულია ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი. ეგვიპტის ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზებში.

სამხედრო სარდლობა იუწყება აგრეთვე, რომ სუეცის აღმოსავლეთით ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახმელეთო ძალები იკავებენ მოწინავე პოზიციებს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის დახმარებით იმ დროს, როცა მოწინააღმდეგე უკან იხევს აღმოსავლეთის მიმართულებით.

ფრონტის ჩრდილოეთ სექტორში ეგვიპტის ჯარებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 15 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი.

დამასკო, 10 ოქტომბერი. (საქინფორმი). სირია-ისრაელის ფრონტზე გრძელდება დაძაბული საჰაერო ბრძოლები.

ისრაელის ავიაციამ სცადა თავს დასხმოდა დამასკოს საერთაშორისო აეროპორტს, აგრეთვე სამოქალაქო ობიექტებს ქალაქებში ხომსში, ტარტუსა და ლატაკიაში.

როგორც სირიის სამხედრო სარდლობა იუწყება, ამ თავდასხმების მოგერიებისა და საჰაერო ბრძოლების დროს მოსპეს მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

9 ოქტომბერს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა გოლანის მაღლობებზე. სირიის ნაწილებმა შეუტიეს და ალყა შემოარტყეს ქალაქ ელ-კუნეიტრას, აგრეთვე იერიში მიიტანეს ახლომდებარე გორაკებზე განლაგებულ მოწინააღმდეგის პოზიციებზე. ისრაელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მოუვიდათ.

გუშინ სირიის ავიაციამ რამდენჯერმე დაბომბა მოწინააღმდეგის ჯარები გოლანის მაღლობების რაიონში, აგრეთვე მდინარე იორდანის დასავლეთით, ხულის ტბის მახლობლად.

ბაღდადი, 10 ოქტომბერი. (საქინფორმი). ერაყის ავიაციამ, რომელიც მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებაში ისრაელის ჯარების წინააღმდეგ, 80-ჯერ დაბომბა ისრაელის სამხედრო ობიექტები გოლანის მაღლობებზე და 10-ჯერ მოწინააღმდეგის სარაკეტო პოზიციები სინის ნახევარკუნძულზე. ეს ნათქვამია ერაყის სამხედრო სარდლობის კომუნიკეში.

დღეს ერაყის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ისრაელის თვითმფრინავი, რომელიც შეიჭრა ერაყის საჰაერო სივრცეში.

ამერიკის შეერთებული შტატები

გადადგა ვიცე-პრეზიდენტი

ვაშინგტონი, 11 ოქტომბერი. (საქინფორმი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ს. აგნიუ გადადგა, რასაც დაეთანხმა პრეზიდენტი. ამას იტყობინება თეთრი სახლის წარმომადგენელი.

პრეზიდენტი, განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა, კონსტიტუციის შესაბამისად უკვე იძებს ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას. ახალი ვიცე-პრეზიდენტი თანამდებობას დაიკავებს მას შემდეგ, რაც მის კანდიდატურას მოიწონებენ ხმების უმრავლესობით კონგრესის ორივე პალატაში. უახლოეს ხანში, თეთრი სახლის განცხადების თანახმად, რ. ნიქსონი ამ საკითხზე დაიწყებს კონსულტაციებს კონგრესის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მერილენდის შტატის პროკურატურამ დაამთავრა გამოძიება, რომელიც ეხებოდა აგნიუს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს — მექრთამეობას, გამოძალვასა და გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას იმ დროს, როცა იკავა ბალტიმორის ოლქის ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მეთაურისა და მერილენდის შტატის გუბერნატორის პოსტები. ეს იყო 1968 წლამდე, სანამ ვიცე-პრეზიდენტად აირჩევდნენ. გუშინ ბალტიმორის საოლქო ფედერალურ სასამართლოში აგნიუმ დამნაშავედ ცნო თავი ბრალდებაში, რომელიც ეხება გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას. სასამართლოსადმი განცხადებაში მან აღნიშნა, რომ 1967 წელს აიღია ფული პირთაგან, რომლებსაც შემდეგ კონტრაქტები ეძლეოდათ მერილენდის შტატში.

აგნიუს მიესაჯა სამი წლის პირობითი პატიმრობა და ჯარიმა — 10.000 დოლარი. სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა ე. რიჩარდსონმა ურჩია დასჯერებოდა მხოლოდ პირობით განაჩენს იმ საფუძველზე, რომ პირობითი განაჩენი და ჯარიმა „სასჯელის საკმარისი ღონისძიებაა“.

ჩეხოსლოვაკია

ერთობლივი კომუნიკე

პრაღა, 11 ოქტომბერი. (საქინფორმი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა და ინდოეთის პრეზიდენტი ვ. ვ. გირი აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და პოზიტიურ ცვლილებებს საერთაშორისო ურთიერთობაში, და აცხადებენ, რომ საჭიროა განხორციელდეს მკაცრ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ინდოეთის პრეზიდენტის ვ. ვ. გირის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში. მათ განაცხადეს, რომ რაც შეიძლება მალე უნდა გაიმართოს განიარაღების მსოფლიო კონფერენცია ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით და მიესალმნენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირის მეორე ფაზის დაწყებას.

ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახლო აღმოსავლეთის ამბებს. მათ დაგმეს ისრაელის დამპყრობლური პოლიტიკა, რასაც მოჰყვა საომარი მოქმედების განახლება.

განიხილეს რა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და ინდოეთის ურთიერთობის განვითარების საკითხები, ლ. სვობოდამ და ვ. ვ. გირიმ დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან ჩეხოსლოვაკია-ინდოეთის თანამშრომლობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას.

კოლუმბია

შევაჩეროთ მკვლელები, გადავარჩინოთ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და ყველა დაპატიმრებული დემოკრატი, ბოლო მოვუღოთ სამხედრო ხუნტის სისხლიან ტერორს — ასეთია მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანთა ერთსულოვანი მოთხოვნა.

ლოზუნგით „ჩილეს ხალხთან ერთად რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ“ ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა კოლუმბიის დედაქალაქში. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს ჩილეს სამხედრო ხუნტის რეაქცია და სოლიდარობა გამოუცხადეს ჩილეს ხალხს.

სურათზე: მიტინგზე ბოგოტაში.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ავსტრია

ტ. ჟივკოვის ვიზიტი

ვენა, 11 ოქტომბერი. (საქინფორმი). ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ავსტრიაში, შეხვდა ავსტრიის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და ესაუბრა მათ.

ავსტრიის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფ. იონასი, კანცლერი ბ. კრაისკი, საგარეო საქმეთა მინისტრი რ. კირხშლეგერი და სხვა ოფიციალური პირები.

საუბრის დროს განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო პრობლემებზე.

ავსტრიის ვაჭრობის, ხელოსნობისა და მრეწველობის მინისტრმა ი. შტარიბახერმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. ნედევმა ხელი მოაწერეს ავსტრიასა და ბულგარეთს შორის 10 წლის ვადით ეკონომიური, სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების პროგრამას.

ჩინეთმა სცნო ჩილეს ხუნტა

პეკინი, 11 ოქტომბერი. (საქინფორმი). როგორც ადგილობრივ დიპლომატიურ წრეებში ცნობილი გახდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ძი ბენ-ფეიმ გუშინ მიიწვია ჩილეს რესპუბლიკის ელჩი ჩინეთში არმანდო ურიბე და აცნობა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღარ თვლის მას ჩილეს რესპუბლიკის ელჩად ჩინეთში.

აღნიშნავენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩილეს საელჩოს მეორე მდივანი ფერნანდო პერესი, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის ემსახუროს სამხედრო ხუნტას, ამიერიდან იქნება ჩილეს დროებითი საქმეთა რწმუნებული პეკინში.

ჩინეთის ასეთი გადაწყვეტილების საბაბი გახდა, როგორც აქ აღნიშნავენ, ელჩის არმანდო ურიბეს გამოსვლა გასულ კვირას განცხადებით, რომელშიც მან დაგმო ჩილეს სამხედრო ხუნტის ბარბაროსული მოქმედება.

ამრიგად, როგორც ადგილობრივ დიპლომატიურ წრეებში აცხადებენ, ჩილეში მომხდარი რეაქციული სახელმწიფო გადატრიალებიდან სრული ერთი თვის შემდეგ პეკინმა დე-ფაქტოდ ცნო ფაშისტური სამხედრო ხუნტა.

პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

ვარშავა, 11 ოქტომბერი. (საქინფორმი). სამხედრო ხუნტის რეაქციული გადატრიალების შედეგად შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და იმის გამო, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სანტიაგოში არა აქვს პირობები თავისი ფუნქციების შესასრულებლად, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ჩილესთან. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ პოლონეთის მთავრობის განცხადებაში.

ჩააბარეს შესანახად

ვაშინგტონი, 10 ოქტომბერი. (საქინფორმი). სამშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში სამმა დეპოზიტარმა ქვეყანამ — საბჭოთა კავშირმა, შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა შესანახად ჩააბარა კოსმოსური ობიექტებით მიყენებული ზარალისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის შესახებ კონვენციის სარატიფიკაციო სიგელები.

სსრ კავშირის მთავრობის დავალებით საბჭოთა სარატიფიკაციო სიგელი ჩააბარა სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ფ. დობრინინმა.

ხანძრის მსხვერპლნი

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საქინფორმი). 1972 წელს შეერთებულ შტატებში მოხდა 2.757.600 სხვადასხვა ხანძარი, რომლებშიც დაიღუპა 11.900 კაცი. ამ ხანძრებს მოჰყვა სამ მილიარდამდე დოლარი ზარალი, ნათქვამია ხანძრებისაგან დაცვის ასოციაციის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელიც დღეს ბოსტონში გამოქვეყნდა.

წინა წელთან შედარებით 1972 წელს 22 პროცენტით გაიზარდა ხანძრების რიცხვი წინასწარ განზრახული ცეცხლის წაკიდების შედეგად, რამაც 285,6 მილიონი დოლარი ზარალი გამოიწვია, ნათქვამია მოხსენებაში.

კელოგში (აიდაჰოს შტატი) „სანშაინის“ შახტში 1972 წლის მაისში ხანძრის შედეგად დაიღუპა 91 მეშახტე. სულ საცხოვრებელ სახლებში მომხდარი ხანძრების დროს დაიღუპა 6.600 კაცი. ბევრ შემთხვევაში ხანძრის მიზეზი იყო საცხოვრებელი შენობების არადამაკმაყოფილებელი ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, აღნიშნულია მოხსენებაში.

ჩილე: რეპრესიები გრძელდება

ჰავანა, 10 ოქტომბერი. (საქინფორმი). ტერორისა და ძალმომრეობის კამპანიამ, რომელიც გააჩაღა ჩილეს სამხედრო ხუნტამ, ვერ გატეხა პატრიოტული ძალების წინააღმდეგობა. ბრაზილიის ჟურნალ „კრუზეირისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მეამბოხეთა რეჟიმის მეთაურმა გენერალმა პინოჩეტმა აღიარა, „დღემდე ვაწყდებით წინააღმდეგობის კერებს“, კერძოდ სანტიაგოში.

დედაქალაქის სამრეწველო რაიონში მოხდა შეტაკება კარაბინერებსა და შეიარაღებულ მუშათა რაზმებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ დაემყარებინათ კონტროლი იქ განლაგებული ერთ-ერთი საწარმოსადმი.

სამხედრო ხუნტა ცდილობს მოსპოს ოპოზიცია და უსასტიკეს რეპრესიებს ახორციელებს ყველას მიმართ, ვინც სიმპათიით ეკიდება სახალხო ერთიანობას. ამ ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე, როგორც ხუნტის მესვეურნი აღიარებენ, გაუსამართლებლად დახვრიტეს ორმოცზე მეტი ჩილელი პატრიოტი. გრძელდება სიკვდილით დასჯა „ნასიონალის“ სტადიონზე, სადაც ათასობით პატიმარი ჰყავთ. მთელ ქვეყანაში მოქმედებენ სამხედრო-საველე სასამართლოები, რომლებსაც თითქმის ყოველთვის დახვრეტის განაჩენი გამოაქვთ „განსასჯელებისათვის“.

დღეს პოლონეთის სახალხო ჯარს 30 წელი შეუსრულდა. პოლონეთის მშრომელები და მეომრები ამ თარიღს აღნიშნავენ როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სხვა არმიათა პირადი შემადგენლობა გულწრფელად ულოცავს თავის თანამებრძოლებს სახელოვან იუბილეს, უთვლის საბრძოლო სალამს და უსურვებს ახალ წარმატებებს თავიანთი ქვეყნის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებასა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული პოლონეთის ჯარი საიმედო რგოლია მოძმე არმიათა თავდაცვით კავშირში, რომლებიც დგანან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სოციალისტური მონაპოვრების სადარაჯოზე.

პოლონეთის ჯარის სახელოვანი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული პოლონელი ხალხის გმირულ ბრძოლასთან ჰიტლერული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, პოლონეთის სახელმწიფოს აღორძინებისა და სოციალიზმის გზით მისი განვითარებისათვის.

სახელოვანი 30 წლისთავი

მშვიდობისა და სოციალიზმის სადარაჯოზე

ი. იაკუბოვსკი,

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი.

პოლონელი ხალხის ანტიფაშისტურ ბრძოლას, რომელიც წარმოიშვა ჰიტლერელ დამპყრობთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის მომენტიდან, უფრო მიზანდასახული და ფართო გაქანება მიენიჭა პოლონეთის მუშათა პარტიის — პოლონეთის მუშათა კლასის საუკეთესო რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრის შექმნის შემდეგ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ პოლონეთის ნაწილებსა და შენაერთებს. სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში პოლონეთის რეგულარული ჯარების ჩაბმამ დიდი როლი შეასრულა პოლონელი ხალხის მთელ განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

1943 წლის მაისში პოლონელ პატრიოტთა კავშირის თხოვნით საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი დახმარებით რიაზანის რაიონში დაიწყო პოლონეთის სახალხო გმირის თადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პირველი პოლონური ქვეითი დივიზიის ჩამოყალიბება. 12-13 ოქტომბერს ამ დივიზიის მეომრებმა, რომლებიც საბჭოთა ჯარისკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ, საბრძოლო ნათლობა მიიღეს ბელორუსიის დაბა ლენინოსთან. პოლონეთის რეგულარული ნაწილების პირველი ბრძოლა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა პოლონელი ხალხის ანტიჰიტლერული ბრძოლის ისტორიაში. მან პოლონელ ხალხს განუმტკიცა სამშობლოს გარდაუვალი განთავისუფლების რწმენა, ხოლო პირველი ბრძოლის დღე გახდა პოლონეთის ჯარის დაბადების დღე. ლენინოს ბრძოლაში იშვა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საბრძოლო თანამეგობრობა.

საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ხელშემწყობი პირობები შექმნეს პოლონელ პატრიოტთა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლისათვის. პირველი პოლონური ქვეითი დივიზიის შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იქმნებოდა სხვა ნაწილები და შენაერთები, რომლებიც პოლონეთის სახალხო ჯარის შექმნის საფუძველი გახდნენ.

საბჭოთა მეომრებთან ერთად პოლონეთის ჯარის გაერთიანებები და შენაერთები მონაწილეობდნენ მტრისაგან მშობლიური პოლონეთის განთავისუფლებაში, ბერლინის ოპერაციაში, ესმარებოდნენ ჰიტლერული მონობისაგან მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის განთავისუფლებაში. ერთობლივ ბრძოლებში ჩამოყალიბდა პოლონელი მეომრის, როგორც პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, ახალი სახე. ბრძოლის ველებზე დაღვრილმა სისხლმა სამუდამოდ შეადუღაბა საბჭოთა და პოლონელი მეომრების საბრძოლო კავშირი, მათი საბრძოლო ძმობა.

ამ ბოლო წლების მანძილზე პოლონელი მეომრები ახალი პოლონეთის აქტიური მშენებლები გახდნენ. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოწრთობილმა, სოციალიზმის იდეალებისადმი ერთგულმა მეომრებმა დადებითი როლი შეასრულეს ქვეყანაში ძირფესვიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელების საქმეში.

ამ პერიოდში საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების დახმარების მეოხებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით იქმნებოდა თანამედროვე სამრეწველო ბაზა, მათ შორის თავდაცვითი მრეწველობა, რომელიც საჭიროა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით აღჭურვისათვის.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე შედარებით მცირე ვადის განმავლობაში მიღწეული იყო შესანიშნავი თვისებრივი ცვლილებანი შეიარაღებულ ძალებში. გაიზარდა მათი საბრძოლო შესაძლებლობანი, ამაღლდა საბრძოლო მზადყოფნა, სამხედრო კადრების იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური დონე.

ახლა პოლონეთის ჯარი სავსებით თანამედროვე კადრის არმიაა. მის შემადგენლობაში არის ყველა ძირითადი სახეობის შეიარაღებული ძალების, გვარეობათა ჯარებისა და სპეციალური ჯარების შენაერთები და ნაწილები. სახმელეთო ჯარები მთლიანად მოტორიზებულია, აქვთ დიდი დამკვრელი ძალა და მაღალი მანევრულობა.

პოლონეთის ჯარს, რომელიც განამტკიცებს თავის ძლიერებას, შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროების კოლექტიური დაცვის საქმეში, პირნათლად ასრულებს თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს ვარშავის ხელშეკრულების თავდაცვითი ორგანიზაციაში. იგი აქტიურად მონაწილეობს იმ ყველა ერთობლივ ღონისძიებაში, რომლებიც ხორციელდება გაერთიანებული სარდლობის გეგმებით. ეს ხელს უწყობს სოციალისტური არმიების ინტერნაციონალური კავშირის შემდგომ გაღრმავებასა და საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას.

ძმური მეგობრული ურთიერთობა დამყარდა პოლონეთის ჯარსა და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს შორის. ეს ურთიერთობა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ჯარებისა და ფლოტის შემდგომ განვითარებაზე, პირადი შემადგენლობის წვრთნასა და აღზრდაზე, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევი მეგობრობის ტრადიციების განმტკიცებაზე.

მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური სახელმწიფოების შემდგომ შეკავშირებას, პოლიტიკური, ეკონომიური, იდეოლოგიური და სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაღრმავებას. მოძმე ქვეყნებისა და მათი არმიების განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი ხალხების კოლექტიური უშიშროება და რევოლუციური მონაპოვრების დაცვა. მშვიდობისა და სოციალიზმის სადარაჯოზე საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად არიან თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული სახალხო პოლონეთის შეიარაღებული ძალებიც.

ყოჩაღ, არარატელებო!

აი ისინი, გამარჯვებული არარატელები

თასის მეათე მფლობელი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 10 ოქტომბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში ათიათასობით გულშემატკივარი ესწრებოდა სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში ორი საუკეთესო გუნდის — კიევის „დინამოს“ და ერევნის „არარატის“ ორთაბრძოლას.

შედეგი ამ საინტერესო შეხვედრისა, რომელსაც თვალყურს ადევნებდა ცისფერ ეკრანებზე მილიონობით მაყურებელი, ცნობილია. გაიმარჯვა ერევნის ფეხბურთელთა გუნდმა — „არარატმა“. ამ დამსახურებულ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უფროს მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ნიკიტა სიმონიანს.

ფინალურ მატჩში მაღალოსტატური თამაშით, გამარჯვებისადმი დაუოკებელი ლტოლვით, იშვიათი სპორტული შემართებით თავი გამოიჩინეს ა. აბრამიანმა, ს. გევორქიანმა, ა. სარქისიანმა, ა. კოვალენკომ, ნ. მესროპიანმა, ა. ანდრიასიანმა, ს. ბონდარენკომ, ლ. იშტოიანმა, ე. მარქაროვმა, ო. ზანაზანიანმა, ნ. პეტროსიანმა, ს. პოლოსოვმა და ნ. კაზარიანმა.

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა — „არარატის“ ძველმა სპორტულმა მეტოქეებმა და მეგობრებმა ერთ-ერთმა პირველებმა მიულოცეს თასის ახალ მფლობელებს ეს გამარჯვება და უსურვეს შემდგომი წარმატებები დიდი ფეხბურთის მინდვრებზე.

აი რას ამბობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კონსტანტინე ბესკოვი:

„არარატის“ ფეხბურთელები და სომხეთის მთელი სპორტული საზოგადოებრიობა ზეიმობენ დამსახურებულ წარმატებას. ერევნელმა ფეხბურთელებმა პირველად მოიპოვეს სსრ კავშირის თასი. ამასთან ერთად, მათ აქვთ რეალური შანსები მოიპოვონ ჩემპიონობის ოქროს მედლებიც.

მაგონდება ერევნელ ფეხბურთელთა ასპარეზობა თასის ფინალში 19 წლის წინათ, როდესაც ისინი აგრეთვე კიევის „დინამოს“ ხვდებოდნენ. ამ ხნის მანძილზე სომხეთში ბევრი ნიჭიერი მწვრთნელი მუშაობდა და ყოველმა მათგანმა შეიტანა თავისი წვლილი „არარატის“ თამაშის სტილში. ძალიან ბევრი რამ გააკეთა გუნდის წარმატებისათვის მიმდინარე სეზონში ისეთმა გამოჩენილმა ოსტატმა, როგორიც არის ნ. სიმონიანი. იძულებული იყო რა განშორებოდა მოსკოვის „სპარტაკს“, მან „არარატში“ იპოვა კეთილშობილი ნიადაგი თავისი ნიჭისა და უნარის გამოყენებისათვის. იგი მოაზროვნე, თამაშის ღრმად გამგები ფეხბურთელი გახლდათ და სწორედ აქ შეხვდა ასეთივე ხასიათის ღირსეულ მოწაფეებს. მათ ძალუძთ არა მარტო გაიმეორონ თავიანთი მასწავლებლის გზა, არამედ გააგრძელონ კიდეც წინსვლა.

დამახასიათებელია, რომ ერევნელმა ფეხბურთელებმა შეძლეს სხვისი მოედნის შიშის გადალახვა, რომელიც ადრე ასე უშლიდა მათ ხელს. მართლაც და, გასულ და მიმდინარე სეზონში არარატელებს არც ერთი თამაში არ წაუგიათ მოსკოვის სტადიონებზე.

სურათზე: ერევნის „არარატის“ ფეხბურთელები სსრ კავშირის თასით.

ბ. სვეტლანოვის ფოტო.

ჭადრაკი

სსრ კავშირის პირველობაზე

ლიდერთა სამეული

გუშინ თბილისში დამთავრდა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ექვსი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები, რითაც დასრულდა ტურნირის პირველი მესამედი.

ბრონშტეინი ყაიმზე შეუთანხმდა ცეშკოვსკის და დაეწია ფურმანსა და ვაგანიანს. სამივე გროსმაისტერს ახლა 4-4 ქულა აქვს. სწორედ ეს მოჭადრაკეები აძლევენ ტონს შეჯიბრებას. ბრონშტეინი, როგორც ყოველთვის, დიდი გონებამახვილობითა და სიმწვავით თამაშობს. ფურმანი ბრწყინვალედაა მომზადებული თეორიულად, მოქმედებს სოლიდურად და სმისლოვის გამოთქმით — „კაპიტალურად“. ვაგანიანი კი ახალგაზრდა მოჭადრაკისათვის უჩვეულო პრაქტიკულობას ამჟღავნებს, რასაც ამ ტურნირში კარგ სათამაშო განწყობილებას უფარდებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვაგანიანმა უკვე დაამთავრა შეხვედრები გროსმაისტერებთან, სამი მათგანი დაამარცხა და მხოლოდ ფურმანთან წააგო.

ჯინჯიხაშვილმა გუშინ მოუგო გროსმაისტერ ვასიუკოვს, მოაგროვა, 3,5 ქულა და დაეწია პალატნიკს, რომელთანაც ახლა მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს. თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ ტურნირი ჯინჯიხაშვილმა წაგებით დაიწყო, მისი ახლანდელი მდგომარეობა საკმაოდ კარგად უნდა მივიჩნიოთ.

გუფელდი ყაიმზე შეუთანხმდა ცეშკოვსკის. ახლა გუფელდსა და გიორგაძეს 6 თამაშიდან სამ-სამი ქულა აქვთ, ისევე, როგორც მონაწილეთა დიდ ჯგუფს. გიორგაძემ ტურნირი ორი დამარცხებით დაიწყო, ახლა კი მდგომარეობა აშკარად გამოასწორა.

თბილისის ტურნირზე დამთავრდა „დაზვერვა ბრძოლით“. დღევანდელი დასვენების შემდეგ ხვალ იწყება სატურნირო „მიტელშპილი“, სადაც ეტყობა, ბრძოლა მკვეთრად გაცხარდება. იმ 4 ადგილზე, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშის საშუალებას იძლევა, მონაწილეთა დიდი ჯგუფი აცხადებს პრეტენზიას.

ვ. გამრეკელი.

თბილისის ტურნირის მონაწილენი

დ. ბრონშტეინი.

ბ. სანაიას ფოტო.

კიდევ ერთი ქულა

მენორკაზე (ესპანეთი), სადაც მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირი ქალთა შორის, შვიდი ტურის შემდეგ ბრწყინვალე შედეგით — 6,5 ქულით ლიდერობას კვლავ განაგრძობს საერთაშორისო ოსტატი ნანა ალექსანდრია. იგი იშვიათი ალმავლობით თამაშობს ამ ტურნირში. ერთადერთ ყაიმს ნანასთან მიაღწია საერთაშორისო ოსტატმა ვალენტინა კოზლოვსკაიამ. როგორც სტარტის შედეგებმა ცხადყო, სამ ადგილზე, რომლებიც პრეტენდენტთა ასპარეზობაში გასვლის უფლებას იძლევიან, დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ჩვენს წიგნის მაღაზიებში

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ამას წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნეს საქართველოს წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნის“ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 5 წიგნის მაღაზიათა ზონალური გაერთიანების კოლექტივი. მას გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ორჯონიკიძის რაიონის ზონალურ გაერთიანებაში, — თქვა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ამ გაერთიანების დირექტორმა გ. ტყეშელაშვილმა — 7 მაღაზია და 15 კიოსკია გაერთიანებული. ჯერ კიდევ პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ჩვენ გავიმარჯვეთ რესპუბლიკაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც საქონელბრუნვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ. ასევე გადავაჭარბეთ მეორე კვარტალშიც, და აი შედეგი: წიგნის რეალიზაციის გეგმა შევასრულეთ 125 პროცენტით, ხოლო მოგებისა 200 პროცენტით.

ეს ჯილდო გაერთიანების კოლექტივმა მოიპოვა ჭეშმარიტად სასახელო შრომით. მომხმარებელს მიეყიდა სხვადასხვა ჟანრის — მხატვრული, პოლიტიკური, მეთოდური, საბავშვო, სასწავლო, ეკონომიკური თუ სხვა სახის ლიტერატურა, სულ 540 ათასი წიგნი ნაცვლად 450 ათასისა.

აღსანიშნავია, რომ რაიონის მაღაზიათა უმრავლესობა მუშაობს დასვენების დღის უქონლად და უშესვენებლოდ. მაღაზიათა მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ წიგნის ერთთვიურებსა და დეკადებში. ზაფხულის პერიოდში კი თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ვაწყობთ გამსვლელ ვაჭრობას საქართველოს კურორტებზე. იზრდება მყიდველების რაოდენობაც. როგორც წესი, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ვაწვდით სხვადასხვა გამომცემლობათა თემატურ გეგმებს, რის შედეგადაც ვიღებთ შეკვეთებს. ჩვენ კი ვუკავშირდებით საქწიგნის რესპუბლიკურ გაერთიანებას და ასე ვაკმაყოფილებთ მათ.

ჩვენმა კოლექტივმა (პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. ხუციშვილი, პროფორგანიზაციის თავმჯდომარე ჯ. მამასახლისი) ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ წარმატებით შევხვდეთ წიგნის ერთთვიურს, რომელიც 15 სექტემბერს დაიწყო.

ჩვენს გაერთიანებაში სიახლეა მკითხველთათვის. ვინც 20 მანეთის ლიტერატურას შეიძენს, მას ბინაზე მიტანით ვემსახურებით. ჩვენივე ტრანსპორტით ვაწვდით ლიტერატურას ორგანიზაცია-დაწესებულებებს.

მობრძანდით ჩვენთან, თქვენს არჩევანში მრავალფეროვანი ლიტერატურა.

ლენტეხის რაიონის მთის სოფლებში ზესხოს, ცანასა და დაბა ყორულდაში დამთავრდა მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ხაზის გაყვანა. ამ სოფლების მცხოვრებთა ბინებში აკაშკაშდა ილიჩის ნათურები. ამით მთლიანად დამთავრდა რაიონის ელექტროფიკაცია.

სურათზე: მაღალი ძაბვის ელექტროხაზი მდინარე ცხენისწყლის ხეობაში.

ა. ჩარკვიანის ფოტო.

დარბაზებს სილამაზე უბრუნდება

სამხატვრო აკადემიაში

ოდესღაც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ძველი კორპუსის ულამაზესმა დარბაზებმა და ინტერიერმა დროთა განმავლობაში დაკარგეს თავისი პირვანდელი ხუროთმოძღვრული იერი.

ბუნებრივია, რომ სამხატვრო აკადემიის ეს დარბაზები თანდათან უნდა აღედგინა. პირველად ეს საჭირო ღონისძიება ჩატარდა შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში. სწორედ ამ პერიოდში აღდგენილი იქნა მაღალისროვანი და მრავალწახნაგოვანი თაღებიანი დიდი დარბაზი, სადაც რუსთაველის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმია. აქ მუდმივ ექსპოზიციაში გამოფენილია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-დიპლომანტთა ის უნიკალური ქმნილებები, რომლებიც შექმნილია აკადემიის არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე. მიმდინარე წელს სამხატვრო აკადემია იმზადება თავისი არსებობის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. ამ თარიღთან დაკავშირებით მხატვართა სამჭედლოში დიდი მზადებაა. ახლახან დღის წესრიგში დადგა აკადემიის ძველი კორპუსის სამი დიდი დარბაზის აღდგენა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ამ დარბაზების ხუროთმოძღვრული იერის აღდგენისათვის სათანადო თანხა გამოჰყო, ამ რთული და საინტერესო სარესტავრაციო სამუშაოების შესასრულებლად მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირში ცნობილი მხატვარ-რესტავრატორი თბილისელი გ. ხალატოვი.

აკადემიის დარბაზების აღდგენაში დიდ და სერიოზულ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრის სარესტავრაციო განყოფილების უფროსი კურსის სტუდენტები.

აღდგება გრანდიოზული სარკეებიანი დარბაზები: მათ შორის დარბაზი სამხატვრო აკადემიის დიდი საბჭოს სხდომებისათვის. საბჭოთა და საზღვარგარეთის საპატიო სტუმრების მისაღები სალონი (300 კვ. მეტრი), პროფესორ-მასწავლებელთა და დიპლომანტ სტუდენტთა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების საგამოფენო დარბაზი (350 კვ. მეტრი), ორი მცირე სარკიანი დარბაზი (თვითეული 50 კვ. მეტრი ფართობით), სადაც მოეწყობა არქიტექტურის, ხის ინტერიერის, ლითონის, მანქანების კონსტრუქციების, მხატვრული დამუშავების წარჩინებული დიპლომების პროექტების გამოფენება, ბიბლიოთეკის დარბაზი (200 კვ. მეტრი).

სათავსების კედლები ფერწერულად მოიხატება. აქ მოთავსდება სამხატვრო აკადემიის ფუძემდებელთა ფერწერული პორტრეტები. აქვე დაიდგმება ეროვნული და კლასიკური სასალონე ჟანრის ქანდაკებები.

წარმტაცი იქნება სტუდენტთა რესტორანი-კლუბი, რომელიც შედგება შესავალი ინტერიერისა და 5 დარბაზისაგან და რომლის კედლები მოიხატება ეროვნული ლიტერატურის კლასიკური ნიმუშების კომპოზიციებით. საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის ა. ქუთათელაძის ზოგიერთი ნაწარმოების მიხედვით „თამარის ნადირობა“ (მოხატა პროფესორმა კ. მახარაძემ), „შოთა რუსთაველი“ (მოხატა დოცენტმა დ. გაბიტაშვილმა), „მედეა“ (მოხატა დოცენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ი. მექვაბიშვილმა).

დარბაზი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის თემებზე დეკორატიული მინიატურებით მოხატეს პროფესორებმა გ. თოთიბაძემ, კ. მახარაძემ და პროფესორის მოვალეობის შემსრულებელმა მ. ხახუტაშვილმა.

ყველა სათავსის იატაკი, კიბეები მოპირკეთებულია ეროვნული სხვადასხვა ტონალობის მარმარილოთი და გრანიტით, სარდაფის მოწყობილობა დარბაზების კედლები, მათი მრავალწახნაგოვანი და მაღალისროვანი თაღები შეიმკობა ხის, ლითონის ეროვნული მხატვრული მოტივების ელემენტების გამოყენებით (შემსრულებლები გამოყენებითი ხელოვნების კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ერგემლიძე და მოქანდაკე მ. კახიშვილი).

აკადემიის ეზოში მუდმივ ექსპოზიციით ღია ცის ქვეშ მონუმენტურ კვარცხლბეკზე აღიმართება ფრიადოსან დიპლომანტ სტუდენტთა მიერ შექმნილი 16 სხვადასხვა სიუჟეტის სკულპტურული ფიგურები. ეზოში აღდგება ქართული აივნები, გაკეთდება სკვერი, რომლის ცენტრში შადრევნები მოეწყობა.

ამასთან ერთად აღდგენილი იქნება სამხატვრო აკადემიის ძველი კორპუსის მთავარი ფასადი.

რესტორან-კლუბი მოემსახურება აკადემიის პერსონალს, ხოლო ზოგჯერ „ჭიქა ჩაიზე“, „ჭიქა ლუდზე“ ერთმანეთს შეხვდებიან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, გაიმართება საუბრები დისპუტები, მოხსენებები, როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, არქიტექტურის, ისე ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის და კინოს პრობლემებზე.

ეს დღე არც ისე შორს არის. ამჟამად სარესტავრაციო სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ძირითადი სამუშაო უკვე დამთავრებულია.

ასე რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია თავის ნახევარ საუკუნის დღესასწაულს განახლებული სახით შეხვდება.

ს. ნაციაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო

ქურდბაცაცები

სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამტაცებლებს

გული სიხარულით გევსება, როდესაც ხედავ დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში დახვავებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. უხვი და დოვლათიანია ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების, რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებიც. სასიამოვნოა, როცა გრძნობ: ამ პროდუქტებს ალალი გულით გიწვდის მშრომელი კაცი, რომლის მადლიანმა მარჯვენამ დათესა, დაამუშავა და მოიყვანა ისინი და დალოცვილი ეს გამრჯე, დაკოჟრილი ხელები.

მაგრამ, ისე როგორც ნათესში სარეველა, სოფელშიც არიან ნაძირალები, უსაქმურები, პარაზიტები, რომლებიც უსინდისოდ ცდილობენ ხელი მოითბონ სხვისი ნაშრომ-ნაამაგარით.

იმ დღეს თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში ყურადღებას იპყრობდა დახლზე დახვავებული კარგი ხარისხის ხორბალი, რომლითაც მარჯვედ ვაჭრობდნენ თეთრ ხალათებში გამოწყობილი ცოლ-ქმარი ბალახან გუსეინოვა და მიხეილ შამილოვი. კარგ პროდუქტს მყიდველიც ბევრი ჰყავდა. საქმე სარფიანად მიდიოდა, იცლებოდა ხორბლის მარაგი, ივსებოდა ცოლ-ქმრის ჯიბე. ალბათ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, რომ ცოლ-ქმრის ვინაობით და ხორბლის მოპოვების წყაროთი არ დაინტერესებულიყვნენ შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკები. გამოირკვა, რომ თბილისში მცხოვრებ ცოლ-ქმარს სოფლის მეურნეობასთან არასდროს არავითარი კავშირი არა ჰქონია. არც ერთი არ ეწეოდა სასარგებლო შრომას და ბაზარზე გამოტანილი ჰქონდათ კახელი კოლმეურნის ხელით მოწეული ხორბალი, რომელიც წინადღით № 1 წისქვილ-კომბინატის ჩიხში მდგარი ვაგონიდან დაიტაცეს ბოროტმოქმედთა ჯგუფის წევრებმა პ. ჯალოიანმა, შ. ბიჭიკაშვილმა, ვ. ხაჩატურიანმა, ს. მურადიანმა. სულ 20 წუთი დასჭირდათ ამ არამზადებს, რომ გაეტეხათ ვაგონი და მოეპარათ 2.500 კილოგრამი მაღალი ხარისხის ხორბალი, რომლის დიდი ნაწილიც ბაზარზე იქნა გატანილი გასასყიდად შ. შამილოვის და ბ. ჰუსეინოვის ავტომანქანების მეშვეობით.

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ხორბლის დამტაცებლებს და მათ ხელშემწყობს შესაფერი / მიუზღო.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამტაცებლებს შორის სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით თვით ამ მეურნეობათა მუშაკებს, ვისაც უშუალოდ ევალებოდათ პროდუქტების მოვლა-პატრონობა, დაცვა და შენახვა.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ გასამართლებული და მსჯავრდადებული არიან სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის № 7 საწყობის გამგე შ. ბიდურაძე და ამავე რაიონის სამშენებლო-სარემონტო უბნის სატვირთო ავტომანქანის მძღოლი ა. ყარსიმაშვილი იმისათვის, რომ წინასწარ შეთანხმებით საწყობიდან დაიტაცეს სამ ტონამდე ხორბალი, რასაც ახლო მდებარე სოფლების მოსახლეობაში ჰყიდდნენ. ამავე სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოსახდელად გაგზავნილი იქნენ სოფელ მჭადიჯვრის კოლმეურნეობის № 3 საწყობის გამგე ქ. ქარჩაიძე და № 5 ბრიგადის ბრიგადირი ა. სალბიშვილი, რომლებიც დანაშაულებრივი გზით ქმნიდნენ ხორბლის, ქერის, სიმინდის ზედმეტობას, შემდეგ კი ითვისებდნენ და ანიავებდნენ. ასეთივე საქმიანობას ეწეოდნენ ამავე სოფლის კოლმეურნეობის № 4 ბრიგადის ბრიგადირი ა. ტარიელაშვილი და № 2 საწყობის გამგე გ. გოლოიშვილი, რომლებიც აგრეთვე გასამართლებული არიან.

საზოგადოებრივი ქონების დატაცების აქ აღწერილი ფაქტები იმითაც არის გამოწვეული, რომ ხშირად სახალხო დოვლათის დაცვას ანდობენ, საეჭვო, არასაიმედო პირებს. განა მჭადიჯვრის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ იყო, რომ მათი თანასოფლელი ალექსანდრე ტარიელაშვილი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი სხვადასხვა დანაშაულისათვის, კერძოდ, ერთხელ ქურდობისათვის, რა დამსახურებისათვის დანიშნეს იგი ბრიგადირად და რა იმედით მიანდეს მას საკოლმეურნეო დოვლათი?!

ამინდის ცუდმა პირობებმა წელს ხელი შეუშალა სოფლის მშრომელებს განსაკუთრებით ესახელებინათ თავი სახელმწიფოს წინაშე ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლით. ამიტომ პატიოსანი ადამიანები ახლა მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში უფრთხილდებიან ყურძნისა და ხილის ყოველ კილოგრამს. და განა შეიძლება, რომ ასეთ დროს ანიავებდე, ქურდობდე და არაფრად აგდებდე შენი მეზობლების, მეგობრების, საზოგადოებრივ ინტერესებს! რითი შეიძლება იმართლოს თავი თანასოფლელების წინაშე თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის წევრმა ვალიკო მანოშვილმა, რომელსაც ენდო სოფელი და საკოლმეურნეო ვენახების ყარაულად დააყენა, მან კი უსინდისოდ დაკრიფა 26 კილოგრამი ყურძენი, ჩააწყო ურემში და თვალს რომ არ მოხვედროდა მისი ავკაცობა, — გადააფარა სიმინდის ფუჩეჩი და შინ წაიღო სხვისი ნაოფლარი.

დაე იგოდეს ყველამ, გაიგონ მეზობლებმა, ნათესავებმა, თანამშრომლებმა, თანასოფლელებმა, რომ მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის ყარაულებმა გ. პაატაშვილმა, გ. მჭედლიშვილმა, თელავის კინოფიკაციის კანტორის ავტომანქანის მძღოლმა — კომკავშირელმა თ. ხელხელაურმა, პურპროდუქტების თელავის ბაზის ავტომანქანის მძღოლმა თ. გაგნიძემ უსინდისოდ დაარიგეს, მოიპარეს ხსენებული საწარმოს საცდელი ნაკვეთებიდან სხვისი შრომით მოწეული 150 კილოგრამი ვაშლი და მანქანით გაიტაცეს.

მოსავლის აღების ამ გადამწყვეტ დღეებში საზოგადოებრივი ქონების ავად ხელმყოფთ ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს გორის რაიონის მშრომელებმა. ატენის, ქვემოს, ტირძნისის, შინდისის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოვლინებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წვრილმანი ქურდობის მრავალი შემთხვევა. დამნაშავენი დაისაჯნენ კანონის მთელი სიმკაცრით. მოეწყო მათი საზოგადოებრივი გაკიცხვა. პატიოსანი მშრომელი ადამიანები მხარში უდგანან ადგილობრივ ორგანოებს, რათა მტკიცედ განხორციელდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულება „სახელმწიფო ან საზოგადო ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების მტაცებლებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. საკმარისი არ არის მარტო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები. ქურდების მარტო დასჯით დანაშაულს ვერ აღმოვფხვრით, თუ მათი მოქმედება საზოგადოებრიობის, მეზობლების, ახლობლების, თანამშრომლების მსჯელობის საგანი არ გახდება. საჭიროა ამ კატეგორიის საქმეები განხილულ იქნას მშრომელთა კოლექტივებში, საზოგადოებრივი ბრალმდებლების მონაწილეობით, საჩვენებელ პროცესებზე. ყველასათვის ცნობილი უნდა გახდეს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მტაცებლობა არა მხოლოდ ზარალს აყენებს ქვეყანას, ამავე დროს აშკარად ლახავს სახელმწიფოსა და პატიოსანი მშრომელების ღირსებასა და ინტერესებს.

მ. გიორგობიანი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი.

სასამართლო დარბაზიდან

ქრთამი ექსპერტიზისათვის

ტრავმების შედეგად შ. დვალიშვილმა შრომის უნარი დაკარგა, საექიმო-შრომითმა საექსპერტო კომისიამ იგი მეორე ჯგუფის ინვალიდად ცნო და შესაბამისი პენსია დაუნიშნა. დროდადრო მას ხელახალი შემოწმება უნდა გაევლო.

ერთხელ დვალიშვილი მორიგი ვადისათვის კომისიის წინაშე წარსდგა. ვანის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარემ ო. ნადირაძემ მას განუცხადა, ინვალიდობის დასადასტურებლად 100 მანეთი უნდა დადოო.

მას შემდეგ, ეს იყო 1970 წელს, დვალიშვილი ყოველწლიურად საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გავლის წინ ნადირაძეს ას მანეთს აძლევდა ექსპერტიზისათვის. ეს თანხა, სხვათაშორის, შეადგენდა თითქმის იმ პენსიის ნახევარს, რასაც წლის განმავლობაში იღებდა.

1973 წელს შ. დვალიშვილმა კომისიაში მორიგი გავლისას, როგორც საჭირო იყო, წარადგინა ფორმა № 88, რომელიც ადასტურებდა მის ავადმყოფობას. მაგრამ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარემ ო. ნადირაძემ უარი უთხრა მეორე ჯგუფის ინვალიდობის დამტკიცებაზე და დვალიშვილი სტაციონარული გამოკვლევისათვის გაგზავნა.

ექსპერტის ასეთი შარიანი დამოკიდებულების მიზეზის საძებნელად შორს წასვლა საჭირო არ იყო: ინვალიდმა ჩვეულებრივი ასი მანეთის ნაცვლად ექსპერტს მხოლოდ 25 მანეთი მისცა.

რამდენიმე თვის განმავლობაში დვალიშვილი ამაოდ ელოდა პენსიას. საექიმო კომისიამ... არ დაადგინა მისი ინვალიდობა. დვალიშვილი მიხვდა, რაც იყო ამის მიზეზი, და გადაწყვიტა ო. ნადირაძისათვის გადაეცა ის დაკლებული 75 მანეთი, ამ მიზნით იგი სოფელ დიხაშხოდან ვანში გაემგზავრა, მაგრამ გზაში განზრახვა შეიცვალა და, სანამ ფულს ექსპერტს გადასცემდა, ამხილა იგი შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში.

საქმის გამოძიების დროს შ. დვალიშვილი გაგზავნეს რესპუბლიკურ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში, რომელმაც დაამტკიცა მეორე ჯგუფის ინვალიდობა. ამრიგად დადასტურდა, რომ შ. დვალიშვილს მართლაც ეკუთვნოდა მეორე ჯგუფის ინვალიდობის შესაბამისი პენსია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ზ. ქვირკველიას თავმჯდომარეობით განიხილა ეს საქმე და ნადირაძეს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია, გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით. (საქინფორმი).

ვარსკვლავები სასახლეში კაშკაშებენ...

მართლაც რომ მოკაშკაშე ვარსკვლავები შეიკრიბნენ გუშინ ჭადრაკის ახალი სასახლის ისედაც გაბრწყინებულ დარბაზში. ვარსკვლავები დიდი ქართული სპორტისა, ვარსკვლავები მოქმედნი თუ „ჟამთა ვითარებას შებერებულნი“...

ლევან თედიაშვილი და ბორის პაიჭაძე, ნონა გაფრინდაშვილი და ნინო დუმბაძე, ალექსანდრე მეტრეველი და ელენე გოკიელი, დიმიტრი მანიძე და რობერტ შავლაყაძე, ნინო დრონოვა და მზია ჯუღელი, პაატა შამუგია და გიორგი მხვაცაბაია, ქეთევან ლოსაბერიძე, თეიმურაზ კაკულია, ალა ივანოვა, ომარ ფხაკაძე, ტარიელ ჟღენტი, გურამ საღარაძე, რომან რურუა, ზარბეგ ბერიაშვილი...

ეს იყო თბილისის მუშათა კლასისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა ქართული სპორტის მედროშეებთან.

საზეიმო შეხვედრა გახსნა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ, რომელმაც პირველი სიტყვა მისცა მწერალ ნ. ალანიას.

„სპორტი ქართულ ლიტერატურაში“ — ასეთი იყო ორატორის გამოსვლის თემა, რაც უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

— სპორტშიც გისურვებთ დახვეწილ „გეგმების“ გადაჭარბებით შესრულებას, ისევე როგორც ეს საწარმოში ხდება ხოლმე — თქვა თავის გამოსვლაში ს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. შარაშიძემ.

ტრიბუნაზეა პოეტი იოსებ ნონეშვილი.

— მწერლები და სპორტსმენები „ურთიერთვალში“ ვიმყოფებით და, მოდით ნურასდროს ამოვალთ ამ ვალიდან. ჩვენ ახალ-ახალ ნაწარმოებებს შევქმნით სპორტზე, თქვენ კი ახალი რეკორდებით გაგვახარეთ — ამბობს იგი და შეკრებილთ თავის ახალ ლექსს უკითხავს.

სპორტსმენთა სახელით საღამოს მონაწილეებს მადლობა გადაუხადეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ბ. პაიჭაძემ და ლ. თედიაშვილმა.

საღამოზე საპატიო სიგელებითა და საჩუქრებით იქნა დაჯილდოებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დიდი ჯგუფი.

შეხვედრამ, რომლის ორგანიზატორი იყო რესპუბლიკის სპორტკომიტეტი საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინისა და კალინინის რაიკომებთან ერთად, დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. სასურველია, რომ უფრო ხშირად გვქონდეს სპორტსმენთა ასეთი დიდი „თანავარსკვლავედის“ ხილვის საშუალება.

ო. ნოზაძე.

პატარა ჩოგნით

წარმატებით აიღეს სტარტი მაგიდის ჩოგბურთის ევროპის ლიგის მეშვიდე პირველობაში პატარა ჩოგნის საბჭოთა ოსტატებმა. 10 ოქტომბერს გვიან საღამოს მათ მოსკოვში წააგეს ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებთან — 3:4.

მაგიდის ჩოგბურთის ევროპის ლიგის შეჯიბრებას ფინიში ექნება 1974 წლის გაზაფხულზე.

ამინდი

დღეს, 12 ოქტომბერს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით უნალექოდ, დღისით სამხრეთ რაიონებში აღინიშნება მცირე წვიმა, იქროლებს სუსტი ქარი, ტემპერატურა ღამით 10-14 გრადუსი სითბო, დღისით 21-25 გრადუსი, მთაში ღამით 4-8 გრადუსი, დღისით 17-21 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დაუბერავს სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში ღამით 6-10 გრადუსი, დღისით 23-27 გრადუსი სითბო, მთაში ღამით 1-4 გრადუსი, დღისით 18-22 გრადუსი სითბო.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა ღამით 8-10 გრადუსი, დღისით 25-27 გრადუსი სითბო.

ტელევიზია

12 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.40 — კინონარკვევი, 10.50 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა და ლიტერატურა, 11.15 — ჩეხოსლოვაკური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ადამიანები გზაჯვარედინზე“ (III სერია), 12.30 — კინოპროგრამა, 13.00 — „ცირკის ჩირაღდნები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.40 — ყაბარდო-ბალყარეთის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი საოჯახო კლუბი“, 19.00 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.20 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 20.00 — „სოციალიზმის სამყარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „მუსიკალური კალენდარი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „პოეტის სახე ეკრანზე“ — გალაკტიონ ტაბიძე, 23.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა.

მეორე პროგრამით

17.15 — გაკვეთილები სკოლების დასახმარებლად — ბიოლოგია (მეცხრეკლასელთათვის. ცილები), 18.00 — ქიმიაში (მერვეკლასელთათვის. ჰალოგენები. ამოცანების ამოხსნა), 18.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სსკპ ისტორიაში, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — განცხადებები, 20.00 — სატელევიზიო დადგმა — „ირკუტსკის ისტორია“ (პირველი ნაწილი).

ნუ ჰკრეფთ, ნუ ამტვრევთ

რადიო

13 ოქტომბერი

პირველი პროგრამა

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — რ. გაბიჩვაძე კამერული სიმფონია. 11.05 — უკრავს ინსტრუმენტული ანსამბლი „როკოკო“, 11.45 — სცენები ჯ. პუჩინის ოპერებიდან, 12.45 — „იურიდიული ცოდნა — მასებს“. საუბარი „ამხანაგური სასამართლოები — კანონიერების დაცვის სადარაჯოზე“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ვ. აზარაშვილი, სიმღერები, 13.55 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — რ. ჩხიკვაძე, 16.30 — სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი“, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის „ჰაიდნის ბავშვობა“, 19.00 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — კონცერტი შ. მშველიძის ნაწარმოებებიდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ბ. კარამიშევი. სიუიტა საესტრადო ორკესტრისათვის, 21.30 — ახალგაზრდობისათვის რადიოალმანახი „ერთგულება“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 23.30 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

12 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხაზარალდებო დასკვნა; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ბერნარდა ალბას სახლი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვოდევილები; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-33, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ℕ 12871

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.